~~373~~

373 ~~374~~

ფონდი № 287 / Фонд № 287
აღწერა № 1 / Опись № 1
შ.ერთ. № 373 / ед. хр № 373

დასკანერებულია 01
16.01.2025

# ორი განმარტება

გთხოვთ, ნება დამრთოთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე გამოვაქვეყნო ორი მცირე განმარტება. მათ ტაბუ დაედო სწორედ იმ ხანებში, როცა საქართველოს საფარქვეშ პრესის შესახებ კანონი ზოგისთვის ალმაფრთოვანებლად მოქმედებდა.

ამით მკითხველ საზოგადოებას კიდევ ერთხელ დაუდასტურებთ დემოკრატიის პრინციპებისა და სამართლიანობისადმი თქვენს ერთგულებას, რითაც თვით პუბლიკაციის ფაქტს, ვფიქრობთ, გარკვეული საზოგადოებრივი რეზონანსი ენიჭება.

პატივისცემით აკაკი თოფურია
18.04.1994.

## ჟურნალ „კრიტიკის“ სარედაქციო კოლეგიას როდემდე?

ჯ. დადიანის საპასუხო წერილის გამოქვეყნების საკითხი თქვენი ჟურნალის სარედაქციო კოლეგიამ განიხილა 1988 წლის 15 დეკემბრის საგანგებო სხდომაზე, რომელსაც ორივე მხარე ესწრებოდა. კენჭისყრის შედეგად სხდომაზე დამსწრე კოლეგიის წევრთა უმრავლესობამ დაბეჭდვის წინააღმდეგ მისცა ხმა. ამას გარდა, რამდენადაც ვიცით, კოლეგიის მაშინდელმა სამმა წევრმა წერილობითი უარყოფითი დასკვნა წარადგინა რედაქციაში ჯ. დადიანის საპასუხო წერილის გამოქვეყნებაზე. მიუხედავად ყოველივე ამისა, წერილი მაინც დაიბეჭდა „კრიტიკის“ 1989 წლის მე-6 ნომერში (გვ. 128-129). წარმოიშვა მოულოდნელი ახალი სიყალბენი და გაუგებრობანი, რომელთა უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია. გვერდს ვუვლით რა კონკრეტულ ფაქტებზე პირდაპირ პასუხს, იგი წერს:

„რაკი „მუმუ“ მოვიხსენიეთ, აქ გაკვრით აღვნიშნავთ, რომ ა. თოფურია სხვა „ახალ ჭეშმარიტებასაც“ სთავაზობს მკითხველებს ამ ნაწარმოების შესახებ“. და იქვე მოტანილია ჩვენი სხვა ციტატი სათანადო გვერდის მინიშნებით, მაგრამ წიგნის და გამოცემის თარიღის დაუსახელებლად. ჯ. დადიანი წერილის შესავალშივე გვაუწყებს: „ჩემი სტატიის („უნარჩევესთაგანი?!“ „კრიტიკა“, 1986, № 4) პასუხად ა. თოფურიამ გამოაქვეყნა „ქარიშხალი ჭიქა წყალში“ („კრიტიკა“, 1987, № 3) რომელშიც იგი ცდილობს პასუხი გასცეს ჩემ მიერ გამოთქმულ შენიშვნებს“.

ლოგიკურად ამ მასალებში უნდა ვეძიოთ რეზუსის თუ შენიშვნის საიდუმლოება. მაგრამ ჯ. დადიანის მიერ წერილში მოტანილი ჩემი ციტატი არსად არ არის არა თუ ჩემს სახელმძღვანელოში, არამედ თვით ჯ. დადიანის სტატიაში („უნარჩევესთაგანი?!“). ამიტომ ძალაუნებურად შეიქმნა მკითხველისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდების აუცილებლობა.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ 1988 წლის 20 ივლისის ნომერში გამოქვეყნდა ჯ. დადიანის კორესპონდენცია „რისთვის მიეცა პრემია?“. იგი იწყება სწორედ იმ შენიშვნით, რომელიც „კრიტიკის“ მე-6 ნომერშია მოტანილი. ხოლო ციტატი ამოღებულია ჩვენი მონოგრაფიიდან „ლეო ქიაჩელის ცხოვრება და შემოქმედება“. ამ წიგნის უკანასკნელ 1985 წლის გამოცემაში (ისიც რუსულ ენაზე) თვით ჩვენ მიერ უკუგდებულ ციტატაზე საერთოდ არაეთიკურია კამათი, რადგან წესით ყოველთვის განხილვის და კრიტიკის საგანი ავტორის წიგნის ბოლო გამოცემაა. მაგრამ ეს არ არის ამჟერად არსებითი.

მთავარია ის, რომ ჯ. დადიანი „კრიტიკის“ მკითხველებს შეფარვით მიანიშნებს რუსულ ცენტრალურ პრესაში მეორეჯერ გამოქვეყნებულ თავის კორესპონდენციაზე, რათა არ გამორჩეთ და როგორმე წაიკითხონ. ჩვენც საზოგადოებას მოკლედ უნდა ვაუწყოთ:

ი. ტურგენევის „მუმუს“ სიუჟეტის ცხოვრებისეული მასალის საკითხში ჩვენ ვემყარებით რუს მკვლევართა (ე. დობინი, ი. ნოვიკოვი) შეხედულებებს.

„ლიტერატურნაია გაზეტას“ როგორც ყოფილი (ა. ჩაკოვსკი), ისე ახალი (ი. ვორონინი) მთავარი რედაქტორის წინაშე ჩვენ მიერ დასმული საკითხის შედეგად რედაქციამ დაავალა საქართველოში თავის საკუთარ კორესპონდენტს შეესწავლა კორესპონდენციაში წამოყენებული ბრალდებები. 1988 წლის 26 ნოემბერს რედაქციას გაეგზავნა შემოწმების ნარკვევი, რომელშიც ერთგან ვკითხულობთ: „...ჯ. დადიანის კრიტიკის ობიექტად ქცეული ა. თოფურიას „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკისათვის“ პრემიის მინიჭება მოხდა ყველა აუცილებელი ინსტანციის გავლით: კათედრის, ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს სხდომები (1984, 22.XI. ოქმი № 4), ჟიური, კომისია, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს კოლეგია (სამინისტროს კოლეგიის 1985 წლის 16 მაისის დადგენილება № 9 (6). კონფლიქტური დამოკიდებულება ჯ. დადიანსა და ა. თოფურიას შორის ათეული წლობით გრძელდება. პირველის თავდასხმას მოსდევს პრესაში ა. თოფურიას პასუხი, რომლითაც უკუგდებულია დადიანის გამონაგონი ბრალდებები. მაგრამ გადის დრო და ეს უკანასკნელი იძებს შესაძლებლობებს კვლავ გამოვიდეს იმავე პრეტენზიებით იმავე წიგნზე. სამწუხაროდ, ასე მოხდა მოცემულ შემთხვევაშიც.

რაც შეეხება „მეთოდიკაში“ ნ. ყარათაშვილის ლექსიდან მოტანილი ნაწყვეტის კორექტურულ-ორთოგრაფიული ვარიანტის ორიგინალის ტექსტთან შედარებას და ვ. კოტეტიშვილის ანალოგიურ ნაწყვეტთან დამთხვევას, გამოირკვა, რომ ა. თოფურიას წიგნში გამოყენებული ტექსტის ორთოგრაფიულობა ემთხვევა სასკოლო ლიტერატურულ ქრესტომათიებში ი. გოგებაშვილიდან მომდინარე ვერსიას“...

„ლიტერატურნაია გაზეტას“ რედაქცია დღემდე დუმს თავისი უხეში შეცდომის — ორთოგრაფიულობის პლაგიატობად აღიარებაზე, ხოლო ამით გათამამებულმა ჯ. დადიანმა კვლავ მოახერხა ჟურნალ „კრიტიკის“ მკითხველთა დროებით შეცდომაში შეყვანა. ყველაფერს ხომ საზღვარი აქვს, ცილისწამებების მოთმენასაც... მაგრამ როდემდე?

აკაკი თოფურია
21.01.1990.

## გაზეთ „კაგადონი-8“-ს რედაქციას. ბატონო რედაქტორო!

თქვენი გაზეთის მიმდინარე წლის 6 მაისის ნომერში დაბეჭდილი ვრცელი წერილი სენსაციური სათაურით „ვთქვი ცოტა იკიბო-ბიკიბოდ“ დასმულ საკითხზე ავტორის მიერ უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მკითხველთა მოტყუების, სულ ცოტა, მეოთხე ცდაა. ამიტომ მათ წრეში გაკვირვებას უპირველესად თქვენივე მინაწერის ერთი ადგილი იწვევს. „ჯოდორ დადიანის ეს წერილი არაერთ რედაქციაში დაყოვნდა არაერთგზის. მიზეზი ყოველთვის ნათელი და უბრალო იყო. ერიდებოდნენ მავანთა განაწყენებას“...

ჩანს, თქვენთვის უცნობი ყოფილა საწინააღმდეგო ფაქტები. სახელდობრ ის, თუ როგორ არ ერიდებოდნენ „მავანთა განაწყენებას“ და როგორ ახერხებდა წერილის ავტორი ყოველთვის „ჭებირების გარღვევას“. პატივი მაქვს მოგაწოდოთ ფაქტობრივი ინფორმაცია: 1. „უნარჩევესთაგანი?“, „კრიტიკა“, 1986, № 4, გვ. 44-76; 2. „რისთვის მიეცა პრემია?“, „ლიტერატურნაია გაზეტა“, 1988, 20 ივლისი; 3. „წერილი რედაქციას“, „კრიტიკა“, 1989, № 6, გვ. 28-29, 4. „კაბადონი-8“, 1990, № 5.

განსხვავებით წინა პუბლიკაციებიდან თქვენი გაზეთის თითქმის ორგვერდიან მასალაში ახალი მხოლოდ ერთი კორექტურული შეცდომაა. მოტანილ ციტატში „სუფიქსებს“ და „აფიქსებს“ წინ უძღვის სიტყვა „მაწარმოებელი“, რაც ყოველ ზნეობრივად წესიერ მკითხველს თავისთავად მიანიშნებს, სადაც სუფიქსია ნახსენები, იქ პრეფიქსიც იგულისხმება. განა ეს „უმეცრების ფართოფურთის“ გამოხატულებაა? თუ სხვის ნაწერში წერტილ-მძიმეზე გამოკიდება დადიანს „გმირობად“ ეთვლება, ილია ჭავჭავაძის ჩვენ მიერ ბრჭყალებით მოტანილი ფრაზის უბრჭყალებოდ გამოყენება არაფერს ნიშნავს?!

მაგრამ ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია სხვა რამ. რა კავშირი აქვს ქართული ენის პირველ მასწავლებელზე ჩვენ მიერ გამოქვეყნებული მოგონებიდან (იხ. „სახალხო განათლება“, 1989, 1 თებერვალი) ამოღებულ ციტატებს და თქვენი გაზეთის შიდა ორ ფურცელზე სათაურად გამოტანილ ფრაზას ჩვენს მეთოდიკურ სახელმძღვანელოსთან ან მონოგრაფიასთან?

ასეთი მანიპულაციები კი ჯ. დადიანისათვის ჩვეულებრივი ხერხია. იგი „ოსტატურად“ არის გამოყენებული თქვენს პუბლიკაციაშიც. „ქართული ლიტერატურის სწავლების მეთოდიკის“ 1959 წლის გამოცემაში (საჯარო მსჯელობის საგანი, როგორც წესი, ყოველთვის ავტორის წიგნის უკანასკნელი გამოცემა უნდა იყოს) ჩვენ გვიწერია: „წინასწარ აღძრული ინტერესით...“ წერილის ავტორი კი საზოგადოებას აუწყებს: „წინასწარ აღმართული ინტერესით“ უწერიაო და იქვე შავი კურსივით მკითხველს აოცებს: „ნეტავ, რას ნიშნავს ინტერესის ალმართვა?“ ასე იმეორებს ყველგან მრავალგზის დაგმობილს და დაუშვებელს.

ყოველივე ამის შესახებ საკმაოდ მოთხრობილია საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს შემაჯამებელ დასკვნაში (იხ. „სახალხო განათლება“, 1988, 2 თებერვალი), რომელიც დაფუძნებულია ლიტერატურული ექსპერტების, თბილისის ი. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორატის მიერ გამოყოფილი კომისიისა და ფილოლოგიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს მასალებზე, აგრეთვე ჩვენს საპასუხო წერილში სათაურით „ქარიშხალი ჭიქა წყალში“ (იხ. ალმანახი „კრიტიკა“, 1987, № 3, გვ. 132-160). ამიტომ აქ არ არის, დადიანის მსგავსად, მათი კვლავ განმეორების საჭიროება.

მაგრამ რაკი დადიანის წერილში მოხმობილია ცნობები ზემოთ დასახელებული საუნივერსიტეტო კომისიის დასკვნებიდან, გაცნობებთ, რომ 1988 წლის 25 თებერვალს აღნიშნულმა კომისიამ, თვით დადიანის საჩივრის გამო, უნივერსიტეტის იურისკონსულტის მონაწილეობით გადაამოწმა მის მიერ ადრე გაკეთებული დასკვნები და „საჭიროდ ცნო შეეტანა მათში ზოგიერთი ინფორმაცია და დაზუსტება“. ბუნებრივია, რედაქცია ამ დაზუსტებულ, ე. ი. შესწორებულ საბოლოო დასკვნას უნდა დაეყრდნობოდა. მოგაწვდით მხოლოდ ერთ ნაწყვეტს ამ გადამოწმებული დასკვნიდან, რომელსაც ხელს აწერს უნივერსიტეტის რვა გამოჩენილი მეცნიერი და სპეციალისტი.

„...რუსულ ენაზე შედგენილ ექსპერტიდან დასკვნაში, რომელიც შეეხება ჯ. დადიანის საჩივრის განხილვას პროფ. ა. თოფურიას მეთოდიკური სახელმძღვანელოს პლაგიატობის შესახებ, პირველივე გვერდზე საკითხის ისტორიისათვის შეიძლებოდა დამატებოდა შემდეგი ცნობა:

ა) ანალოგიური ბრალდება ბევრდვითი სხვით რუსი ავტორების (ვ. გოლუბკოვი, ს. სმირნოვი) წიგნების ანალოგიური გვერდების მითითებით ჯ. დადიანმა ა. თოფურიას წაუყენა პირველად 1960 წელს თავის წიგნში „ილია ჭავჭავაძის შემოქმედების სწავლება“ (გვ. 61-62). 1960 წლის 22 ივლისს დაიწერა გამომცემლობა „ცოდნის“ მიერ გამოყოფილი კომისიის მოხსენებითი ბარათი, ხოლო ამ მოხსენებითი ბარათის საფუძველზე გამომცემლობის დირექტორის 1960 წლის 20 აგვისტოს ბრძანება (№ 95), რომლითაც ადმინისტრაციული სასჯელი დაედო წიგნის ავტორს (მაშინ გამომცემლობის განყოფილების თანამშრომელს), რედაქტორს და გამომცემლობის განყოფილების გამგეს. ყველა ეს დოკუმენტი შესულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს 1963 წლის 11 დეკემბრის სხდომის სტენოგრამულ ოქმში (გვ. 30-39) და გამოქვეყნებულია ა. თოფურიას წიგნში („ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები“, 1969, გვ. 223-231). ამავე წიგნში იქვე (გვ. 236-238) მოყვანილია 9 მაგალითი, თუ როგორ იყენებს ჯ. დადიანი ავტორის დაუსახელებლად ა. თოფურიას მეთოდიკურ სახელმძღვანელოდან ვარკვეულ შეხედულებებს. ჯ. დადიანს საშუალება ჰქონდა გაპასუხა ამაზე, მაგრამ მას ეს არ გაუკეთებია.

ბ) 1971 წლის 4 მარტს ჯ. დადიანმა „უჩიტელსკაია გაზეტაში“ გამოაქვეყნა სტატია „სხვისი ხელებით“, სადაც საკავშირო რუსული პრესის ფურცლებზე განიმეორა იგივე შეურაცხმყოფელი ბრალდება ა. თოფურიას მიმართ, პასუხი ამ სტატიაზე დაბეჭდილია ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიაში“ (იხ. 1972, № 12, გვ. 90-92)“...

გამორიცხული არ არის, დადიანმა კვლავ არ წამოიწყოს სხვა რედაქციებში თავისი გაუთავებელი მანიაკური მოქმედებები. ამიტომ, ბატონო რედაქტორო, გთხოვთ, წარმოდგენილი მასალების წინასწარ გაცნობა-განხილვის შედეგად მოახდინოთ სათანადო რეაგირება, რათა მისი „დავის“ ოცდაათწლიანი ისტორიის ყოველმხრივ შესწავლის და შემოწმების გარეშე სხვა გაზეთების რედაქციებმაც არ ჩაიყენონ თავი უხერხულ მდგომარეობაში, როგორშიც თქვენ აღმოჩნდით.

აკაკი თოფურია
14.05.1990.

# აფხაზეთი — საერთო სატკივარი

„უფალო, შეისმინე მორჩილთა ნატვრა, შეამზადე მათი გული, მიაპყარი ყური, გაუსამართლე ობოლსა და ჩაგრულს, რომ აღარ დევნონ კაცთაგანი ამ ქვეყანაზე“.

**ფსალმუნი 10. 38-39**

ასე იყო: ვულკანის კრატერში ბორგავდა აღმოდებული მაგმა და არავინ იცოდა, როდის ამოხეთქავდა, სწორედ ამ კრატერს გავდა მაშინ აფხაზეთი... შემდეგ დავრწმუნდით, თურმე როგორ ემზადებოდნენ, ჩვენ კი ბედოვლათობითა და უმოქმედობით თავად ვუწყობდით ხელს კრატერის ამოფრქვევას, რადგან არ აღმოგვაჩნდა მაშინ ალღო და უნარი იმისა, რომ წინასწარ განგვეჭვრიტა და შეგვეჩერებინა მოსალოდნელი უბედურება... ასე დატრიალდა ჯოჯოხეთური გრიგალი საქართველოს თავზე, რომელმაც მთლიანად გადაბუგა ჩვენი ქვეყნის ულამაზესი მხარე — აფხაზეთი. ცეცხლმაც და მომხვდურმაც შთანთქა ადამიანთა ნაჯაფარ-ნაამაგარი. ულმობელმა სიკვდილმა მოსრა ათასობით ადამიანი, გადარჩენილებმა კი გაცლა ამჯობინეს სიკვდილს, ასე დაიძრა დაჩაგრულ-დაბეჩავებული და გაპარტახებული ხალხის ნაკადი საქართველოს სხვადასხვა რაიონებისაკენ, ასე იქცნენ ლტოლვილებად საკუთარ მიწაზე.

მახსენდება ნოდარ დუმბაძე: — ქართველებს გვჩვევიათ თავის გამართლება და ამიტომაც ვამბობთ: „შემომაკვდა“, „შემომეჭამა“, „შემომელახა“, „შემომელანძღა“.

ახლაც აქა-იქ გაიგონებ, „აბა რა უნდა გვექნა?“, „რომ არ შევსულიყავით, არ შეიძლებოდა,“ „იკარგებოდა აფხაზეთი!“, „პირველად იმათ დაიწყეს“ და სხვა... სიმართლის დადგენა, არადა, შორს წაგვიყვანდა და მოდით, ეს მომავალს მივანდოთ. ჩვენ კი გამრუდებული საქმის გამოსწორებასა და ჭრილობების მოშუშებაზე უნდა ვიზრუნოთ და ისეთ ჭეშმარიტ გზას უნდა დავადგეთ, რომელიც ტაძართან მიგვიყვანს და სამშობლოდან იძულებით გადმოხვეწილთ უკან დააბრუნებს...

ეს პროცესი ჯერ სტიქიურად დაიწყო. ნაწილ-ნაწილ ბრუნდებოდნენ უკან აფხაზეთიდან დევნილები, გვიხაროდა ყველას, სოხუმიდან დამამშვიდებელი ცნობები მოდიოდა. გაჩნდა იმედი იმისა, რომ კალაპოტში ჩადგებოდა აზვირთებული მდინარე, მივიწყებას მიეცემოდა ტკივილი, სევდა...

მაგრამ აფხაზთა მხარემ კვლავ დაარღვია შეთანხმება და 16 სექტემბრიდან კვლავ ლტოლვილთა ახალი ნაკადი მოაწყდა საქართველოს რეგიონებს. აჭარის მინისტრთა საბჭოში კვლავ ოპერატიულად განაახლა მუშაობა შესაბამისმა შტაბმა. გაიხსნა მოშუშებული ჭრილობა...

მახსენდება 17 სექტემბრის ამაღელვებელი წუთები, ბათუმის ნავსადგურს რომ მოადგა პირველი კატარღა, რა დამავიწყებს განაწამებ ქალებს, ბავშვებს, სასოწარკვეთილებამდე მისულ დავრდომილ და ავადმყოფ მოხუცებს. ახლაც თვალწინ მიდგას, როგორ ეძებდა ახალგაზრდა ქალი კატარღის მგზავრთა შორის რვა წლის შვილს, რომელიც, საბედნიეროდ, მეზობლის ქალთან ერთად კატარღიდან ადრე ჩამოსულიყო. მართლაც უზომოა ბედის სიმუხთლე. სულ რამდენიმე დღის წინათ ბედნიერნი და უდარდელნი უცბად უბედურებისა და სილატაკის მორევში აღმოჩნდნენ.

უზომო იყო მაშინ ჩვენი, თითოეული ბათუმელის გულისტკივილიც — „ყველაფერი ვიღონეთ, რომ ლტოლვილებმა არ იგრძნონ ოჯახის მოშორება, მოეფერეთ, ანუგეშეთ. დღეს ისინი სტუმრები ჩვენი და რომ დაბრუნდებიან, კეთილად მოგვიგონებენო“, — ასეთი იყო ბატონი ასლან აბაშიძის მითითება.

პირველ ხანებში ისინი ორმოცი ათასამდე იყვნენ. ახლა თორმეტი ათასი შემორჩა ბათუმსა და აჭარის სხვა რეგიონებს. უკვე შევეჩვიეთ ერთმანეთს, ერთად თანაცხოვრებამ დაგვამეგობრა... მაგრამ მაინც ძნელია მშობლიურ კუთხეს მოშორებული კაცის ხვედრი. ეს კარგად ესმის თითოეულ ჩვენგანს და ამიტომაც არის, რომ ყველაფერს ვაკეთებთ იმისათვის, რომ თანამოძმეთ ეს მძიმე ხვედრი შევუმსუბუქოთ.

ბევრია ლტოლვილთა შორის დამსახურებული და პატივსაცემი პიროვნება, პედაგოგი, იურისტი, ექიმი, მეცნიერი, ისინი დღესაც იღვწიან, შრომობენ. მაგრამ უღირსსა და უზნეოს აბა, რა გამოლევს? დღესაც მახსოვს, როგორ დააპატიმრეს კატარღის კაპიტანი, რომელიც ფულს ძალავდა ლტოლვილებს. ისიც უნდა ითქვას: ბევრი „ლტოლვილი“ სავსე ფუთებითა და ტომრებით დატვირთული ჩამოვიდა, ზოგს მსუბუქი მანქანებიც კი „ეშოვათ“, ზოგსაც ავტომატები, ხელყუმბარები და ასაფეთქებელი მასალაც. ცხადია, აჭარაში არსებული სტაბილური მდგომარეობა და დისციპლინა ხელს არ აძლევდა ასეთებს. გაჩნდნენ უკმაყოფილონი.

მახსოვს, ბატონმა ლორიკ მარშანიამ ამასთან დაკავშირებით საყვედურის წერილიც კი მოიწერა — უპატივცემულოდ ექცევით ჩვენგან გადმოხვეწილთო. აჭარის მთავრობის საპასუხო წერილში აღნიშნული იყო ცალკეულ ლტოლვილთა დანაშაულებრივი ქმედებანი, ბანდიტური ჯგუფების შექმნა, თავდასხმების მოწყობა, ადგილობრივი მოსახლეობისადმი უპატივცემლობისა და უდიერების გამოვლინებები, პროვოკაციებისა და გამოხდომების მოწყობა, რამაც აიძულა აჭარის უზენაესი საბჭო მიეღო რადიკალური ზომები ამ ქმედებათა აღსაკვეთად და აჭარაში სიმშვიდის შესანარჩუნებლად.

უკვე დადგა დრო, ვიფიქროთ ლტოლვილების აფხაზეთში დაბრუნებაზე. საქართველოს ერთ-ერთი სამხედრო შენაერთის კორესპონდენტი — ოჩამჩირელი ციალა კოპალიანი ნაღვლიანი, ცრემლმორეული თვალებით მეუბნებოდა: „გამუდმებით სიზმარში ვხედავ ჩემს სახლ-კარს!“ მეც გამახსენდა: 1987 წელს ოთხი მცირეწლოვანი ბავშვით პირდაპირ ქუჩაში გამოგვყარეს სახლიდან, ნათესავებს შევაფარეთ თავი. თითქმის ყოველ ღამეს მესიზმრებოდა ჩვენი სახლი. „ძნელია მეთქი სახლკარის მიტოვება“ — დავეთანხმე მე. ჩემის აზრით, საერთო ენას, ურთიერთგაგებას უნდა მიაღწიოს ორივე მხარემ. ამისათვის მარტო ჟენევაში წასვლა არ კმარა, როგორც მთავრობამ, ისე ხალხმაც უნდა შექმნას ნიადაგი მშვიდობიანი მოლაპარაკებისათვის, მხოლოდ ასე მივაღწევთ საწადელს...

მაშ ასე, უნდა დაბრუნდეს ქართველობა აფხაზეთში, უნდა გამოიძებნოს გზა, მშვიდობიანობის პრინციპზე დაფუძნებული მოაზროვნე ადამიანთა ჯგუფი, რომ მივაღწიოთ საწადელს — დაიწყოს ქართველთა უკუმიგრაცია აფხაზეთში. თუნდაც ცალ-ცალკე ან ჯგუფურად. ამისათვის უნდა გამოვიყენოთ ყველა მშვიდობიანი არგუმენტი და ფაქტი: ნათესაობის, მოყვრობისა და მეგობრობისა.

ეს აზრი მარტო მე არ მეკუთვნის. ეს დროის მოთხოვნაა, მოთხოვნაა საღად მოაზროვნე მოსახლეობისა, ეს კრედოა ლტოლვილებისა. უნდა შეწყდეს ფიქრი სისხლისღვრაზე, დარბევაზე, „გადათელვაზე“, უნდა გვახსოვდეს ისტორიის მწარე გაკვეთილები: სისხლს — სისხლი მიეგება, ძალადობას — კვლავ ძალადობა. ხოლო ქართველები არა ვართ იმდენი, რომ ჩვენ გენოფონდს არ გავუფრთხილდეთ.

ახლა საჭიროა პრინციპულად, მოთმინებით, სიფრთხილითა და გონიერებით დავიწყოთ მთავრობის მიერ დასახული ქართველ-აფხაზთა კონფლიქტის პოლიტიკური მოწესრიგების ღონისძიებათა გატარება. ყველა უნდა დავირაზმოთ ამ მისიის შესასრულებლად.

ამას წინათ, აჭარის ლტოლვილთა კომიტეტის წევრებმა შეხვედრა ითხოვეს ბატონ ასლან აბაშიძესთან. ეს შეხვედრა შედგა. მათ სთხოვეს ბატონ ასლანს ეკისრა შუამავლის როლი. ლტოლვილთა კომიტეტის წევრებს ახლაც კარგად ახსოვთ ბატონ ასლან აბაშიძის წვლილი აფხაზეთიდან ტყვეების გამოხსნაში.

მართლაც ასე იყო. სთხოვდნენ მას ლტოლვილნი და გადმოსახლებულნი შუამდგომლობას აფხაზეთში დასაბრუნებლად, სთხოვდნენ ტყვეობაში მყოფთა გამოხსნას. გამოიჩინა პირადი ინიციატივა ბატონმა ასლანმა და ყოველგვარი წინასწარი შეტყობინების გარეშე, გასული წლის ოქტომბერში საკუთარი რისკის გაწევით, აფხაზეთს გაგზავნა აჭარის მთავრობისა და უზენაესი საბჭოს პასუხისმგებელ პირთა ჯგუფი. მე, როგორც ამ ჯგუფის ხელმძღვანელი, ყოველ ღონეს მივმართავდი ბატონი ასლანის მოთხოვნის — ლტოლვილების უკან დაბრუნებისა და ტყვეების გამოხსნის საკითხების დადებითად გადაწყვეტისათვის.

აფხაზთა მხარემ, ყოველგვარი პირობის გარეშე გადმოგვცა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან 50, მათ შორის, აჭარიდან წარგზავნილი ორი მებრძოლი.

ჩვენი მოსახლეობის, მათ შორის, ლტოლვილების, გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ზოგიერთმა გაზეთმა ჩვეული გესლი გადმოანთხია, ნაცვლად იმისა, რომ ეს ვიზიტი დიდი და მნიშვნელოვანი საქმის წამოწყებად ჩაეთვალათ. დღეს კი ნათლად ჩანს, რომ ბატონ ასლან აბაშიძის მიერ მაშინ გადადგმული ნაბიჯი მეტად საჭირო ყოფილა.

მჯერა, მოვა დრო, როდესაც ერთიან საქართველოში, თვით აფხაზეთში მოყვრულად იცხოვრებენ და გვერდი-გვერდ ილვაწებენ ქართველი და აფხაზი ხალხები დემოკრატიული, ცივილიზებული საქართველოს ასაშენებლად.

**ოსიკო გვარიშვილი**
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლტოლვილთა და განსახლების შტაბის თავმჯდომარე.

## ჯემალ ჯაყელი

### საქართველო

სად არის ანთეოსი, მიწას მოწყვეტილი,
ან მიწა რა იქნა, მომცემი ძლევათა.
ვისია სისხლი იგი ოფლად მოწრეტილი,
სად არის საპოვნელა ბედით მძევალთა.
იციან, ვისი გორის არის საქართველო, —
ფეხქვეშ ქარგავლილი ანთეოსი.
სად არის, რაი სჭირს, როგორ არს საქართველო,
ეს — ღვთისთვალება ანგელოსი.
მიწას ვინ მოსწყვიტა, ვინ ჰყო მარტოსული
უძლები სიხარბით სვავის.
ძალა ვინ გაუცუდა, პირი ვინ გაუშავა,
გულზე ვინ მოუვლინა ზვავი?!
რა ცოდვის სახადი, რა ჭირის სახადი,

რა შადრევანი ამოიჭრება
სულის მწამლავი ბროლის შხეფებით.
ვისი საფლავი სად გაიჭრება,
ვის დაჰკიდებენ თავით, ფეხებით...
გვედრი წარსული, როგორც შენდობას
და პატიებას ხვალის თუ ზეგის.
მე ვიცი, რატომ აღარ ენდობი
ფესვებს ახალი ძირმწარე ნერგის.
გინდა დაამყნო მასზე ახალი,
ცისფერი გენი ფეთქვით ალურით,
ვიდრე გამხდარა იგი ლახვარი
იმედის, ნდობის და სიყვარულის.
მრისხანეა ფრიად მოყვასთან, მტერთან
თანამედროვე რომა ვარ მისი.
გადამიყვანე წარსულო, შენთან
ანდა განადე ის შენი ღირსი.

**მამაო ზევსო**

ვინ რას ყბედობდა გუშინწინ, გუშინ
და დღეს ეს ხმები საიდან მოდის.
იციან, რატომ ლიზლობენ ამდენს,
იციან, ვინ რას იმკის ამითა.
აქ გულწრფელობას ვინაც გულს ატკენს,
არ დაინდობენ იმას წამითაც!
ახალი სუნთქვა ტაძრებს და სახლებს,
ხარატულ აკვნებს რწევა მრავალი...
აქ კარგად ესმით ძველებს თუ ახლებს
წარსული, აწმყო და მომავალი.
იმედის მწვანე სანაპიროზე
სატევარივით ელვარებს მზეზე.
სხივის ტაძრის ნათელმირონით
საქართველოსთვის აქ ვდგავართ ფეხზე.
ხელთ სიყვარულის გვიჭირავს დროშა
და ატლანტივით მხრებზე — თავანი,
არ მიმაჩნია გატეხილ გროშად
მოლაზღანდარე ვინმე, — მავანი.
ყველა მართალი გულში ჩაისვა

### გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს" მთავარ რედაქტორს ბატონ თამაზ წივწივაძეს

ის ვრცელი წერილი (დიდი მოცულობის გამო, „წერილი" მას მხოლოდ პირობით შეიძლება ეწოდოს), რომელიც ჯოდორ დადიანის აბრაკადაბრაზე — „აკაკი წერეთელი", მე თქვენთან მოვიტანე, საგრძნობლად შევკვეცე და 21 გვერდამდე დავიყვანე (ამოვიღე ბევრი ადგილი, მათ შორის მთლიანად გამოვტოვე ის ნაწილი, რომელშიც საუბარია ა. წერეთლის ლიტერატურულ-ესთეტიკურ ნააზრევზე. წერილის კიდევ უფრო შემცირება მე, ავტორს, აღარ ძალმიძს. უმორჩილესად და დაჟინებით გთხოვთ მის გამოქვეყნებას. (რაც, ალბათ, გაზეთის ორ გვერდზე ცოტა მეტს დაიკავებს). რა თქმა უნდა, ჯ. დადიანზე, ამ თხემით ტერფამდე ბინძურ კაცზე, ხელის გასვრა და გაზეთის გაჭუჭყიანება (მერე ისეთი გაზეთისა, როგორიც „ლიტერატურული საქართველოა") არ ღირს, მაგრამ, ილიასი არ იყოს, ჩვენ პიროვნებაზე კი არა, „საზოგადო ჰირზედა ვწერთ".

საქმე ისაა, რომ თითქმის ოთხი ათეული წელია, რაც ჯ. დადიანი, ეს აშკარად უვიცი და უკიდურესად შეზღუდული კაცი, გარკვეულ წრეებში მეცნიერადაა გასაღებული და საზოგადო სარბიელზე ფართიფურთობს (თუმცა, თავის დროზე მისი ე. წ. „ნაშრომები" სავსებით სამართლიანად მკაცრად, იქნა გაკრიტიკებული პროფ. ა. თოფურიას მიერ) ასპარეზზე სრულიად შემთხვევით წამოტივტივებული ეს კალმოსანი მოსწავლე ახალგაზრდობაში და, საერთოდ, ფართო მკითხველ საზოგადოებაში ნერგავს უმეცრებას, ავრცელებს აბსურდულ აზრებს, რითაც დიდ ზიანს აყენებს ჩვენს მომავალ თაობას (და, მაშასადამე, ერსა და საზოგადოებას). და თქვენ წარმოიდგინეთ, იგი დღემდე არაა ბოლომდე მხილებული და დაუსჯელად დადის. მეტიც, ჯ. დადიანის პუბლიკაციებს კეთდება ფართო რეკლამა, იბეჭდება და იბეჭდება მყვირალა სათაურების მქონე ხოტბითი რეცენზიები (ასე მაგ., წინამდებარე „აკაკი წერეთელზე" დაბეჭდილი ერთ-ერთი რეცენზიის სათაურია „მეთოდიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი"). ალბათ, დამეთანხმებით, რომ მდგომარეობა საგანგაშოა.

ბატონო თამაზ, გთხოვთ, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემონათქვამი და იმოქმედოთ ისე, როგორც სწორად მიიჩნევთ. მოველი თქვენგან თანაგრძნობასა და თანადგომას.

პატივისცემით პროფესორი
**ვახტანგ ვახანია.**

# კურიოზების წიგნი

## ვახტანგ ვახანია

ზედმეტია საუბარი იმის შესახებ, თუ რა განუზომელი მნიშვნელობა აქვს მწერლის მხატვრული პროდუქციის მართებულ ინტერპრეტაციას. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჯერ კიდევ გვაქვს სერიოზული ნაკლოვანებები. სცოდავენ არა მარტო ვიწრო, აკადემიური გამოკვლევები, არამედ, რაც განსაკუთრებით სამწუხარო და სავალალოა, ახევე (ზოგჯერ კიდევ უფრო მეტადაც) სცოდავენ მოსწავლე ახალგაზრდობისა და, საერთოდ, ფართო მკითხველი საზოგადოებისთვის განკუთვნილი შრომები. ამჟამად ერთ შევეხოთ ერთ ასეთ ნაშრომს. ეს არის ჯოდორ დადიანის „აკაკი წერეთელი" (რომელიც 1990 წელს დაიბეჭდა ავტორის ხარჯით). ნუთუ ა. წერეთლის, ამ უზარმაზარი ეროვნული მწერლის, ლირიკული ლექსები და ეპიკური თხზულებები ასე დამახინჯებულად და დასახიჩრებულად უნდა „განვუმარტოთ" ახალ თაობას?! ეს ხომ დანაშაულის ტოლფასია, მიუტევებელი ცოდვაა. ავტორს აპატიებენ ცუდ (დაბალი მეცნიერული დონის) წიგნს, მაგრამ შეიძლება ეპატიოს მავნე და საზიანო ნაშრომი? წინამდებარე სარეცენზიო წიგნი გაძეძგილია კურიოზული შეცდომებით და ხარვეზებით. ვნახოთ ეს კონკრეტულად.

1. წიგნის შესავალ ნაწილში საუბარია ზოგადად ეპოქაზე, მე-19 საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოვლენებზე და სხვ. მაგრამ ჯ. დადიანს აშკარად არასწორი, მცდარი წარმოდგენა აქვს როგორც ეპოქაზე საერთოდ, ისე კერძოდ, მეფის რუსეთის მიერ საქართველოში დაწესებულ მმართველობის სისტემაზე.

2. სარეცენზიო წიგნში სრულიად არადამაკმაყოფილებლად და ხარვეზებითაა წარმოდგენილი ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ისტორია, მისი წარმოშობის გამაპირობებელი ფაქტორები, ეტაპები, ხასიათი მიზან-ამოცანები და სხვა. ამ საკითხთაგან ზოგიერთს ავტორი ხულ არ ეხება, ზოგს ეხება, მაგრამ მეტისმეტად ზოგადად (სახსვათაშორისოდ) და, რაც მთავარია, ავითარებს არასწორ თვალსაზრისს. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის პერიოდებს შორის ქრონოლოგიური ჩარჩოებიც არაა სწორად განსაზღვრული. ასე მაგალითად, „მეორე პერიოდი მოიცავს 50—90-იან წლებს", — ვკითხულობთ 22-ე გვერდზე. ამის დამწერმა, არც I და III პერიოდის საზღვრები იცის.

3. ჯ. დადიანს აკვიატებული აქვს აზრი, რომ გრ. ორბელიანის პოემას „აშკარად ეტყობა დ. გურამიშვილის შემოქმედების განსაკუთრებული ნათელი კვალი" (გვ. 142). („სადღეგრძელოზე" მუშაობისას გრ. ორბელიანი სრულად არ იცნობდა დ. გურამიშვილის ყველა ნაწარმოებს). ბევრჯერ უბრუნდება რა ამ საკითხს, პირდაპირ ამბობს: „ისინი (დ. გურამიშვილი და გრ. ორბელიანი— ვ. ვ., როგორც ჭეშმარიტი პატრიოტები, სინანულით, მწუხარებით წერენ ქართველური ტომების წარმომადგენლების ხულიერი კოროზიის გამო" (გვ. 146). ეს დ. გურამიშვილზე ითქმის, მაგრამ გრ. ორბელიანი ქართველურ ტომთა სულიერ კოროზიაზე მოთქვამს, თუ პირიქითაა, ამ ტომთა ერთსულოვნებაზე (ერთი დროშის ქვეშ დარაზმულობაზე) წერს მაჟორული, ზეაწეული ტონითა და თავისებური სიამაყით? („თამარის დროშა გაშალეს..."). დ. გურამიშვილი და გრ. ორბელიანი გვიხატავენ ერთმანეთს დიდი მანძილით დაშორებულ ორ სხვადასხვა ეპოქას. დ. გურამიშვილი გველაპარაკება ქართლ-კახეთის გათიშულობის დამღუპველ შედეგებზე, რამაც მკვეთრად იჩინა თავი მე-18 ს. 20-30-იან წლებში. რომანტიკოსი პოეტი გრ. ორბელიანი კი, პირიქით (აცოცხლებს რა „ოქროს ხანად" წოდებულ ეპოქას), გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა ერთსულოვნება — ერთიანობის მიერ მოტანილ ტკბილ ნაყოფს, ქართველთა ტრიუმფალურ სვლას მოწინააღმდეგეთა დასალაშქრავად. ასეთია ისტორიულ-ლიტერატურული ფაქტი, რაც სარეცენზიო წიგნში თავდაყირაა დაყენებული.

4. მაგრამ კიდევ უფრო დიდი უაზრობა და ნამდვილი კურიოზული გაუგებრობაა მხოფლმხედველობრივად დ. გურამიშვილსა და გრ. ორბელიანთან ა. წერეთლის გათანაბრება (დატოლება). „თანამემამულეებ ოვის ასეთი პროგრესული მხ ხედველობის ჩამნერგავ პოეტ ას — დ. გურამიშვილსა და გრ. ორბელიანს" ა. წერეთლის სახით ჰყავდათ „სახახელო მემკვიდრე". და შემდეგ: „აკ. წერეთელმა ორგანულადაც და ორიგინალურადაც შეისისხლხორცა და გაითავისა დ. გურამიშვილისა და გრ. ორბელიანის შემოქმედების ერთ-ერთი საუკეთესო და შთამაგონებელი ელემენტი" (გვ. 144). როცა საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთ ერთობისკენ მოუწოდებდა, აკაკი თურმე შთაგონებას იღებდა დ. გურამიშვილისა და გრ. ორბელიანის პოემებიდან (გვ. 145).

მსჯელობა იმაზე, რომ ა. წერეთელი ასეთ პირდაპირ და უშუალო გავლენას განიცდიდა გრ. ორბელიანისა, მეტი რომ არა ვთქვათ, უხერხულიც კი არის. ჩვენ ვიცით, თუ რა აზრისა იყო ა. წერეთელი გრ. ორბელიანის პოეზიაზე საერთოდ და კერძოდ, „სადღეგრძელოზე". ამ ნაწარმოებში (რომელიც არც მიაჩნდა ჭეშმარიტ მხატვრულ თხზულებად) ვერაფერს ხედავდა, გარდა ნიკოლოზ პირველის ხოტბა-დიდებისა. მაგრამ აი, ჯ. დადიანმა „აღმოაჩინა", რომ თურმე ა. წერეთელი მოხიბლული და მოჯადოებული ყოფილა გრ. ორბელიანის შემოქმედებით და მეტიც, „სადღეგრძელოს" ავტორის გავლენაც განუცდია. მოდით და ნუ გაიკვირვებთ!

5. ავიღოთ, მაგალითად, „ნათელას სიმღერა". ეს ლექსი გაანალიზებულია (გვ. 142—148) არა ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ასპექტში (შუქზე), არამედ დ. გურამიშვილისა და გრ. ორბელიანის თხზულებებთან კონტექსტში. იმოწმებს რა „დავითიანისა" და „სადღეგრძელოს" ცნობილ სტრიქონებს („კახელების აღმა ხნული ქართველებმა დაღმა ფარცხეს..." და „თამარის დროშა გაშალეს..." და სხვა), ჯ. დადიანი არაორაზროვნად გვეუბნება, რომ „ნათელას სიმღერა" ა. წერეთელს დააწერინა დ. გურამიშვილისეულმა გულისტკივილმა — ქართველურ ტომთა სეპარატისტულმა ტენდენციებმა: ნაწარმოები გვარწმუნებს, რომ „პოეტს მწვავედ ატკინა გული სხვადასხვა ქართველური ტომის წარმომადგენელთა თავაშვებულმა ემოციებმა და ვნებებმა. ლექსში აშკარად ჩანს, რომ ისინი თავგანწირვით მიისწრაფვოდნენ ტომობრივი განკერძოებისაკენ" (გვ. 145). ყოვლად უაზრო და უნიათო ინტერპრეტაციაა. ლექსში არც აშკარად, არც შეფარვით არ ჩანს (და არც შეიძლება ჩანდეს) ის, რასაც მე-19 საუკუნეში ადგილი არ ჰქონია. ჯ. დადიანმა არც იცის (ეს კი კარგად ჩანს), რომ „ნათელას სიმღერა" საერთოდ არ ეხება პოეტის თანამედროვეობას. არ იცის, რომ ლექსი ცალკე, დამოუკიდებელი ნაწარმოები კი არ არის, არამედ ნაწყვეტია პოემიდან „ნათელა" (1897 წ.), რომელშიც ნაჩვენებია მე-13 საუკუნის ისტორიული ამბები. მოქმედება ხდება მონღოლთა ბატონობის ხანაში, როდესაც საქართველო ორადაა (ამერეთად და იმერეთად) გახლეჩილი. ა. წერეთელი „ნათელას სიმღერაში" ქადაგებს სწორედ ამ ორი ნაწილის — აღმოსავლეთ-დასავლეთის (ამერეთ-იმერეთის) ერთიანობის აზრს. ეს იყო საერთოდ აკაკის მხატვრულ თხზულებათა და კრიტიკულ-პუბლიცისტური წერილების ერთ-ერთი დიდი თემა. და როგორ გინდა ირწმუნოთ, რომ ა. წერეთელზე დაწერილ 500 გვერდიან წიგნში ამ საკითხს, ამ უაღრესად მწვავე და აქტუალურ პრობლემას მთლიანად გვერდი აქვს ავლილი.

6. გმირის ძიების საკითხიც ეროვნულ- განმათავისუფლებელი მოძრაობის ჯაჭვში ერთ-ერთ ძირითად რგოლს წარმოადგენდა და ისეთივე აქტუალური იყო, როგორც ეროვნული მთლიანობის პრობლემა. აი, ამან გამოიწვია გმირის ძიებით ესოდენ დიდი დაინტერესება ჯერ რომანტიკოსების, შემდეგ ქართველი სამოციანლებისა. ეს საკითხია დასმული „ჭაღარაშიც". ამიტომაც იყო, რომ, როცა ეროვნულ გმირზე ჩამოვარდებოდა საუბარი, აკაკი, პირველ ყოვლისა, „ჭაღარას" გაიხსენებდა და აუდიტორიას ხმამაღლა უკითხავდა ამ შედევრს (ვინ იცის, მერამდენეჯერ). ჯ. დადიანი კი ლექსის საყურადღებო სტრიქონებს „რისთვის დავკარგო იმედი? გმირს წინა უძღვის ყოველთვის უძლური წინამორბედი" და სხვა, ასეთ კომენტარს უკეთებს: „ამ სტრიქონებში სატოვნად არის გადმოცემული ქართველების მაღალი მიზნები: ცარიზმის საბოლოო კრახი გარდაუვალია" (გვ. 226). აი, თურმე რაში ყოფილა საქმე, როგორაა ინტერპრეტირებული აკაკის შესანიშნავი ლექსი. ეს არის მხატვრული ტექსტის ჯ. დადიანისეული უკუღმართი წაკითხვა — გაგების ერთ-ერთი კარგი ნიმუში. ასეთია პატივცემული მეთოდისტის ლიტერატურულ-კრიტიკული ალღო და გემოვნება.

7. „ბაში-აჩუკის" ცენტრში დგას არაისტორიული პირი ბაში-აჩუკი. ისაა წამყვანი ფიგურა და მოთხრობაც ამიტომ ატარებს მის სახელს. ეს იმას ნიშნავს, რომ ნაწარმოების მთავარი იდეა ბაში-აჩუკის სახეშია ჩადებული, ე. ი. ძირითადი იდეურ-აზრობრივი დატვირთვა (თუ ასე შეიძლება ითქვას) ამ მოქმედ პირზე მოდის. რა მიზნით შემოჰყავს მწერალს მოთხრობაში ბაში-აჩუკი? რას ქადაგებს ამით? ცნობილია, რომ კახეთის 1659 წლის აჯანყებაში დასავლეთ საქართველოს მკვიდრს მონაწილეობა არ მიუღია. ა. წერეთელმა „გაასწორა" ეს ნაკლი წარსულისა, მხატვრული ფანტაზიით შეჰქმნა (შეთხზა) გლახუკი ბაქრაძე და ეს დასავლელი ქართველი გადაიყვანა აღმოსავლეთში, გვერდით ამოუყენა იქაურ მოძმეებს და აქტიურად ჩააბა სპარს დამპყრობთა წინააღმდეგ დაწყებულ სახალხო მოძრაობაში. ამით მწერალმა გააერთიანა აღმოსავლეთ-დასავლეთი. ერთი დროშის ქვეშ დააყენა ორივე და იქადაგა საქართველოს ერთიანობის (მთლიანობის) ის დიადი იდეა, რაც ესოდენ მტკივნეული და აქტუალური იყო მთელს მე-19 საუკუნეში (და არა მარტო ამ საუკუნეში).

აი, ესაა მთავარი „ბაში-აჩუკში", ესაა არსებითი, წამყვანი, ძირითადი. ამისთვის გაისარჯა აკაკი, ამისთვის მოჰკიდა კალამს ხელი და მიუჯდა მაგიდას და თქვენ წარმოიდგინეთ, ამ არსებითსა და ძირითად საკითხზე სარეცენზიო წიგნში ერთი წინადადებით, ერთი სიტყვითაც კი არაფერი, აბსოლუტურად არაფერი არ არის ნათქვამი. აბსოლუტურად (ვიმეორებ ამ სიტყვას) არაფერი არაა ნათქვამი იმის შესახებ, რისთვისაც მოთხრობა დაიწერა. დაუჯერებელია? დაუჯერებელი იქნებოდა, ფაქტი რომ არ იყოს.

8. ჯ. დადიანის წიგნში არაფერი არ არის ნათქვამი იმის შესახებაც, თუ რატომაა მონათლული გლახუკი ბაქრაძე ბაში-აჩუკად. მხედველობაში გვაქვს ამ სახელის არა ეტიმოლოგია (რაც მოთხრობაში კარგად და გასაგებადაა ახსნილი), არამედ თვით ზედწოდების გამოყენების საჭიროება.

9. ჯ. დადიანმა არ იცის, არც საქართველოს ისტორია, არც ქართული მწერლობის ისტორია. ამითაა გამოწვეული, რომ სარეცენზიო წიგნში დაშვებულია უხეში ფაქტობრივი ხასიათის შეცდომები. ასე მაგალითად, 396-ე გვერდზე ვკითხულობთ: „1659 წლის განმათავისუფლებელ მოძრაობას მეთაურობდნენ ბიძინა ჩოლოყაშვილი, შალვა ერისთავი და მისი ძმა ელიზბარი". აქ ისტორიული და მხატვრული (რაც „ბაში-აჩუკშია" ნაჩვენები) ერთმანეთშია არეული. ვერ გაიგებ, სად მთავრდება ერთი და სად იწყება მეორე. თუ ისტორიულ სინამდვილეზეა საუბარი, მაშინ დამოწმებული წინადადების პირველი ნახევარია მცდარი, ხოლო თუ მხედველობაში მოთხრობა [illegible] (ე. ი. „ბაში-აჩუკის" მიხედვით ვმსჯელობთ), მაშინ წინადადების მეორე ნახევარია შეცდომა.

ისტორიულად ცნობილია, რომ კახეთის 1659 წლის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური იყო ზაალ არაგვის ერისთავი, „ბაში-აჩუკში" კი აჯანყების მოთავეა კახეთის სუფრაჯი ბიძინა ჩოლოყაშვილი (ზაალ ერისთავი კი ნაწარმოების მიხედვით აჯანყებისადმი სკეპტიკურადაა განწყობილი და მასში თვითონ პირადად არც მონაწილეობს). შემდეგ: ისტორიულად ცნობილია, რომ ელიზბარ და შალვა ქსნის ერისთავები იყვნენ ძმები, „ბაში-აჩუკში" კი ისინი წარმოდგენილი არიან, როგორც ბიძა (ელიზბარი) და ძმისწულიშვილობილი (შალვა).

საქმე ისაა, რომ გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც „ბაში-აჩუკი" იწერებოდა, კახეთის აჯანყების შესახებ არსებობდა მნიშვნელოვანი ისტორიული ლიტერატურა (ბერი ეგნატაშვილის „ახალი ქართლის ცხოვრება", ვახუშტი ბაგრატიონის „აღწერა სამეფოსა საქართველოსა", ანტონ კათალიკოსის „მარტირიკა" და სხვ.), რომლებსაც აკაკი, ცხადია, ზედმიწევნით კარგად იცნობდა. მაგრამ თვით ეს წყაროები ყოველთვის არ ემთხვევიან ერთმანეთს და ხშირად ამა თუ იმ ფაქტის თუ მოვლენის განსხვავებულ ინტერპრეტაციას, სხვადასხვანაირ წაკითხვას იძლევიან. დღეს ცნობილია, რომ აკაკი უმთავრესად მიჰყვება, არსებითად ეთანხმება ანტონ კათალიკოსს („მარტირიკაა" მწერლის ძირითადი ისტორიული წყარო). მაგრამ შემდეგ დაზუსტდა და ამჟამად ჩვენს მეცნიერებაში მიღებული და დადგენილია, რომ აჯანყების მეთაური იყო არა ბიძინა ჩოლოყაშვილი, არამედ ზაალ არაგვის ერისთავი (ყოველ შემთხვევაში, ერთ-ერთი მეთაური), ხოლო ელიზბარი და შალვა ქსნის ერისთავები იყვნენ არა ბიძა-ძმისწული (ან მამა და შვილი), არამედ ძმები. ამ საკითხებზე წარმოდგენა არა აქვს პატ. ჯ. დადიანს.

10. მსგავსი „თვალსაჩინოებები" წიგნში უხვადაა გაბნეული. 442-ე გვერდზე ვკითხულობთ: „ელიზბარი და შალვა ერისთავები, ბიძინა ჩოლოყაშვილი შაჰ-აბას პირველის ბრძანებით წამებით დახოცეს". როგორ, 1659 წლის აჯანყების მონაწილენი 30 წლის წინ, 1629 წელს, გარდაცვლილი კაცის ბრძანებით დახოცეს? ზემოდამოწმებული სტრიქონები რომ სრულიადაც შემთხვევითი არ არის, იქიდანაც ჩანს, რომ ამ [illegible] საუბარია შაჰ-აბას პირველის მხოლოდ ერთ (ერთადერთ) წერილზე, მუქარითა და რისხვით აღსავსე ბარათზე, რომლის ადრესატია თეიმურაზ I. არავითარი მეორე წერილი შაჰ-აბას პირველს არ გამოუგზავნია (ვერც გამოაგზავნიდა საიქიოდან). ჯ. დადიანის „მტკიცებით", საქართველოში ჩვენი დაუძინებელი მტერი და სისხლის მწოველი შაჰი იქიდანაც, იმქვეყნიდანაც არ ასვენებდა ქართველებს. რას არ გაიგონებს კაცი? აი, ასეთი ცოდნა (თუ ამასაც ცოდნა ჰქვია) და წარმოდგენა აქვს სარეცენზიო წიგნის ავტორს იმ საკითხებზე, რაზედაც წერს.

შაჰ-აბას მეორე ჯ. დადიანს თავის ნაცოდვილარში ნახსენები ჰყავს ორჯერ. პირველად მაშინ, როდესაც „საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოდან" აკეთებს პერიფრაზს (გვ. 396), ხოლო მეორედ მაშინ, როდესაც „ბაში აჩუკიდან" მოაქვს ციტატა (გვ. 397). ეს არის მექანიკურად (გაუაზრებლად) გადმოტანილი სხვა ტექსტებიდან. საქმე ისაა, რომ თვითონ აკაკის თავის ისტორიულ მოთხრობაში სპარსეთის შაჰები ნუმერაციით („პირველი", „მეორე") ნახსენები ჰყავს მხოლოდ თითო-თითოჯერ, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში (ასეთი კი ძალიან ბევრია) წერს: „შაჰი", „შაჰაბაზი", „ყეენი" (ე. ი. წერს ნუმერაციის გარეშე). ამან შეუძლო გზა-კვალი აერია და დაებნია მხოლოდ უცოდინარი ადამიანი (ისტორიაში ოდნავ ჩახედულს, ცხადია, ვერ დააბნევდა), და მოხდა კიდეც ასე, ყველა ეს „შაჰი", „შაჰაბაზი" და „ყეენი" ჯ. დადიანმა შაჰ-აბას პირველად მიიჩნია და გააკეთებინა ის კურიოზული, აბსურდული დასკვნები, რაზედაც ზევით გვქონდა საუბარი.

კომენტარები, როგორც იტყვიან, ზედმეტია.

11. გაუგებრობაზეა აღმოცენებული ჯ. დადიანის მსჯელობა „ბაში-აჩუკში" ნაჩვენები ინტერნაციონალისტების შესახებ. ნაწარმოებში ა. წერეთელმა გვიჩვენა „ჭეშმარიტი პატრიოტებისა და ინტერნაციონალისტების საქართველო" (გვ. 423); მოთხრობა „პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის წარუვალი ჰიმნია" (გვ. 456). ჯ. დადიანი პოეტის ინტერნაციონალიზმს ხედავს არა იქ, სადაც ის არის (თუნდაც საქრესტომათიო ნაწარმოებებში „გამზრდელი" და „ხატის წინ", რაზედაც ქვემოთ გვექნება საუბა-

# ბრალეულთა ბრალდებები

კარგა ხანია პრესაში არაფერი გამომიქვეყნებია. ალბათ, ესაა საბაბი იმისა, რომ ზოგიერთები მე და ჩემს მეგობრებს აჭარაში მიმდინარე პროცესების მიმართ წაყრუებასა და გულგრილობას გვწამებენ. სწორედ მათ ჩვენი აქტიურობა აჭარის ხელისუფლებასთან დაპირისპირების კუთხით ეოცნებებათ. ამაო ოცნებაა.

ადრეც გვითქვამს, აჭარა არ უქმნის პრობლემებს დედასამშობლოს, პირიქით, მთელს საქართველოში განვითარებულმა მანკიერმა მოვლენებმა ბევრი პრობლემა წარმოშვა ჩვენს კუთხეშიც. ბატონმა ასლან აბაშიძემ შეძლო ამ პრობლემათაგან უმრავლესის გადაჭრა და, რაც მთავარია, მშვიდობის შენარჩუნება აჭარაში. შედეგად მოსახლეობის პატივისცემა და თანადგომა მოიპოვა. ეს კი არ შედიოდა განხეთქილების მაძიებელ გარკვეულ პირთა ჯგუფის გეგმაში, რომლის „შემოქმედების" მთავარი ნიშანია ყოველივე კარგზე თვალის დახუჭვა, ხოლო ცუდის გამადიდებელი შუშით ჭვრეტა.

ეს ჯგუფი, რომელსაც მე გაბოროტებულ ოპოზიციას ვუწოდებდი, ხან აქტიურად, ხან კი პასიურად თავს ესხმის აჭარის ხელმძღვანელს თითიდან გამოწოვილი ბრალდებებით. ესაა ბრალეულთა ბრალდებები, რომლებიც კარგა ხანია გაბათილდა სინამდვილეში.

მე, როგორც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატს, იქნებ უფრო ადრეც უნდა გამომეხატა ჩემი პოზიცია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ არ ვჩქარობდი. მინდოდა ღრმად გამეანალიზებინა ყველაფერი. და ვამბობ, თუმცა დაგვიანებით, მაგრამ დარწმუნებით — გაბოროტებულ ოპოზიციას არ ასაზრდოებს ქართული ინტერესები.

გავბედავ და მკითხველს გავაცნობ ასლან აბაშიძისადმი წაყენებული ბრალდებების აბსურდულობის ჩემეულ ხედვას.

ერთი ბრალდება — ესაა ბატონი ასლან აბაშიძის ერთმმართველობა და მისგან გამოწვეული, ვითომდა უარყოფითი შედეგები.

ჩემი აზრით, ბატონი ასლანი მართლაც ერთმმართველია და, საბედნიეროდ, საკმაოდ ძლიერი და ჭკვიანი ერთმმართველიც. იყო დრო, როცა მეც ვფიქრობდი, დემოკრატია არ გვაწყენს-მეთქი. არც დამიმალავს ჩემი მოსაზრება. თურმე, ვცდებოდი, როცა ქვეყანაში ქაოსია, ერთპიროვნული, ძლიერი ხელისუფლება თუ იხსნის მას უბედურებისაგან. დღეს ყველასთვის ნათელია, რომ ამ ძლიერმა ხელისუფლებამ გადაარჩინა აჭარა აოხრებისაგან. ავილოთ, თუნდაც, აჭარის მოსახლეობისათვის იარაღის ფორსირებული დარიგება, რის წინააღმდეგაც მე თავის დროზე დაუფიქრებლად გავილაშქრე. განა ამან არ შეაჩერა შეიარაღებული „პატრიოტული" ბანდები ჩოლოქთან? ცხადია, იარაღის დარიგება, თავისთავად, ანომალური მოვლენაა, მაგრამ ეს ის შემთხვევა იყო, როცა მიზანი ამართლებს საშუალებას, პასუხისმგებლობის სიმძიმე კი ერთმა კაცმა იტვირთა და, მადლობაც არვის უთქვამს. არადა, მშვიდობის შენარჩუნება აჭარაში არ ნიშნავდა მხოლოდ რომელიმე ერთი კუთხის გადარჩენას, იგი მთელი საქართველოს გადარჩენა იყო და ეს უკვე საკმარისია ბატონი ასლან აბაშიძის ჭეშმარიტი მამულიშვილობის დასტურად.

არსებული პოლიტიკური სიტუაციიდან გამომდინარე, თუ სადმე სამართალია, ერთმმართველობა ბატონი ასლან აბაშიძისათვის ღირსებად უნდა ჩაეთვალოთ და არა ნაკლად.

შემდეგი ბრალდება, ესაა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების მიმართ ასლან აბაშიძის „იზოლაციონიზმი".

მერწმუნეთ, ვერავინ დაასახელებს თუნდაც ერთ შემთხვევას, რომელშიც ბატონი ასლან აბაშიძე სიტყვითა და საქმით მხარში არ ამოსდგომოდეს საქართველოს სასიკეთოდ მებრძოლს. ერთს კი ვიტყვი, შეიარაღებული გადატრიალების შემდეგ საქართველოს ხელისუფლების სათავეში იმდენი ცოდვილი და არაკომპეტენტური ხელი წაეპოტინა, ასლან აბაშიძეს რომ ყველა მათგანის ჭკუაზე ევლო, დღეს აჭარაში ქვა ქვაზე აღარ იქნებოდა დარჩენილი და სრულიად საქართველოც კიდევ უფრო უარეს დღეში აღმოჩნდებოდა.

საქართველოს სახელმწიფოებრიობას მისი ცენტრალური ხელისუფლების სისუსტე და გაითიშულობა ვნებს და არა აჭარის ხელისუფლების სიმტკიცე.

თუ მართალი გნებავთ, აბაშიძის იზოლაციონიზმი ესაა იზოლაციონიზმი გადაგვარებისაგან, ძმათაკვლისაგან და ათასი სხვა ბოროტებისაგან, რითაც მან აჭარას ჭეშმარიტი ქართული სული შეუნარჩუნა.

კომიკურობის თვალსაზრისით, ყველაზე აღსანიშნავია ბრალდებათა დუეტი, რომლითაც ბატონი ასლანი გამოყავთ რუსოფილად და თურქოფილად. ამ შემთხვევაში, გაბოროტებული ოპოზიცია სულ მთლად დაბნეულა და ორი, ურთიერთგამომრიცხავი ცილისწამების სინთეზს გვთავაზობს. მათი დაბნევის მიზეზი თურქეთისა და რუსეთისადმი ბატონი ასლან აბაშიძის დაახლოებით ერთნაირ განწყობაშია საძიებელი. ჩემი აზრით, ესაა ძლიერი მეზობლებისადმი შევიწროებული და გაჭირვებული ქვეყნის შვილის განწყობა, რომელსაც სურს გადაარჩინოს თავისი სამშობლო და მის მოქმედებებსაც ეს მიზანი განსაზღვრავს. ძნელი წარმოსადგენი არაა, რა „სიკეთეს" მოუტანდა მთელს საქართველოს რუსეთისა და თურქეთისადმი ბატონი ასლან აბაშიძის აგრესიული დამოკიდებულება.

მე თუ მკითხავს ვინმე, ბატონ ასლანს ქართველოფილობაში „დავადანაშაულებდი".

შემდეგი, გაბოროტებული ოპოზიციის აზრით, ყველაზე უფრო გამანადგურებელი ბრალდება აბაშიძის მიმართ, ესაა მისი „ზვიადისტობა".

ამ ბრალდების ავტორები აჭარის ხელისუფლებისაგან მოითხოვენ იმ შეიარაღებული გადატრიალების დადებითად შეფასებას, რომელშიც თავიანთ მონაწილეობას დღეს ურცხვად უარყოფენ; მოითხოვენ დამხობილი ხელისუფლების უბრალო თანამგრძნობების დევნა-შევიწროებასაც კი.

აბაშიძის ზვიადისტობაც, თურმე, იმაში გამოიხატება, რომ იგი არ ასრულებს მათ „დემოკრატიულ" მოთხოვნებს, არაა პატარა და უმადური კაცი, თორემ, ჩემი აზრით, ის სხვებზე არანაკლებ ხედავდა ან განსვენებული პრეზიდენტის ნაკლსა თუ ღირსებას და დამოუკიდებლობისაკენ მიმავალი გზაც, ვფიქრობ, მისგან განსხვავებულად ესახებოდა.

როგორც ცნობილია, ბატონი ასლან აბაშიძე პრეზიდენტსაც არ ეთანხმებოდა ხოლმე, თუკი დარწმუნებული იყო თავის სიმართლეში. მაგალითად, ასე მოხდა, როცა პრეზიდენტმა გამოსცა ბრძანება საქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ რუსეთის არმიის ნაწილებში ინვენტარიზაციის ჩატარების შესახებ.

ბატონი ასლან აბაშიძის აზრით, აღნიშნული ბრძანების აღსრულების მცდელობა დაინტერესებულ მხარეს პროვოკაციების მოწყობის საშუალებას მისცემდა, რაც ისევ ქართველი ბიჭების სიცოცხლეს შეეწირებოდა და სრულიად უნაყოფოდაც. მართლაც, მაშინაც და მერმეც, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მრავლად განახორციელეს ასეთი პროვოკაციები, და რასაც რუსეთის არმიას „გამოვრჩით", ყველას კარგად მოგეხსენებათ.

ასლან აბაშიძის გონიერებამ აქაც შეძლო აჭარის გადარჩენა და ვაი, რომ მარტო აჭარის. რუსული იარაღის მიღების დრო, რაოდენობა და ხარისხი კი, ძირითადად, ისევ რუსეთმა განსაზღვრა.

აქვე, მინდა მკითხველს გავახსენო შემთხვევა, როცა ბატონმა ასლან აბაშიძემ, დარწმუნებულმა თავისი პოზიციის სამართლიანობაში, პრეზიდენტის მოსაზრებების საწინააღმდეგოდ გააუქმა და განაიარაღა ეროვნული გვარდიის აჭარის ნაწილები. ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღი კი კანონიერ მფლობელებს — შინაგან საქმეთა სამინისტროს განყოფილებებს, ბანკებსა და ფოსტებს დაუბრუნა. დამეთანხმებით, რომ ამით აჭარაში მტკიცე საფუძველი ჩაეყარა სტაბილიზაციას.

იქნებ მავანთა და მავანთ არ სურდეთ აღნიშნული შემთხვევა ასლან აბაშიძის შორსმჭვრეტელობითა და სიბრძნით ახსნან, ეს მათი ნებაა, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება და სიმართლესაც რკინის ქალამნები აცვია.

მე არ უარვყოფ, რომ გვარდიელთა შორის იყვნენ პატრიოტი ბიჭები, მაგრამ ბევრი უღირსიც მიეტმასნა მათ. გვარდია შეიქმნა ნაჩქარევად, ყოველგვარი მოსამზადებელი სამუშაოებისა და ბაზის გარეშე. იგი დაკომპლექტდა ძირითადად არაკვალიფიციური კადრებით, ხასიათდებოდა დაბალი სამხედრო დისციპლინით და პატიოსანი ადამიანები მასში ვერ ქმნიდნენ ამინდს. დღეს კი, აჭარაში ფუნქციონირებს საქართველოს შინაგანი ჯარის ნაწილები, რომელთა შეიარაღება და გაწვრთნილობა სამაგალითოა, განწყობა — ამაღლებული და პატრიოტული. მის შესაქმნელად აუცილებელი ბაზა მომზადდა თანდათანობით, აჭარის ხელისუფლების ხანგრძლივი გარჯისა და რუდუნების წყალობით.

შეუძლებელია არ აღინიშნოს გაბოროტებული ოპოზიციის „ბრალდება", რომელიც გამრუდებული აზროვნების კლასიკური ნიმუშია. ასლან აბაშიძეს ბრალს დებენ იმაში, რომ იგი ყოველთვის იბრძოდა სრულიად საქართველოში სამოქალაქო მშვიდობისათვის, დაპირისპირებულ მხარეთა მორიგება-შერიგებისათვის. მათი აზრით, აბაშიძე დამნაშავეა, რომ იარაღშემართული არ დადგა ან ერთი ან მეორე მხარის გვერდით და ბოლომდე მოუწოდებდა მათ პრობლემების მშვიდობიანი გზებით გადაჭრისაკენ.

უნდა ვაღიარო, ამ შემთხვევაში გაბოროტებულმა ოპოზიციამ „მიზანში მოარტყა", ბატონ ასლან აბაშიძეს მართლაც აქვს ასეთი „დანაშაული" ერის წინაშე და მისი წარმოჩენისათვის აჭარას მადლობის მეტი არაფერი ეთქმის.

ვფიქრობ, საჭიროა, ამ წერილში აზრი გამოვთქვა, ისეთ დელიკატურ საკითხზეც, როგორიცაა ასანიძეთა დაპატიმრების საკმაოდ გახმაურებული საქმე.

ცნობილია, რომ თენგიზ და თამაზ ასანიძეებისადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციებისა და საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის რევიზიამ მრავალი დარღვევა გამოავლინა. არა მგონია, სხვათა და სხვათა მსგავსი დანაშაულებანი პასუხისმგებლობის ტვირთს უმსუბუქებდეს მათ. არც, ისაა საიდუმლო, რომ პროკურატურა იკვლევს მათი ბრალეულობა-უბრალობის საკითხს სხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებშიც. მე იურისტი არა ვარ და ვერ შევაფასებ თუ რამდენად ირღვევა ამ შემთხვევაში იურისპრუდენციის რომელიმე ნორმა, ერთი რამ კი უდავოა: — თენგიზ და თამაზ ასანიძეებმა ისეთ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ვითარებაში უღალატეს ბატონ ასლან აბაშიძეს, როცა მას ყველაზე უფრო სჭირდებოდა თანადგომა. ვინ იცის, იქნებ ვინმემ წააქეზა და შეაცდინა ისინი. ნებისმიერ შემთხვევაში, მათივე ძველი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ეს განდგომა არ ეტეოდა ზნეობისა და კაცური ურთიერთობების ნორმებში და მე ვერც საპასუხო რეაქციის კორექტულობას მოვითხოვდი.

პარადოქსია, რომ გაბოროტებულმა ოპოზიციამ დღეს ასანიძეთა ადვოკატის ნიღაბიც მოირგო. მე კი ვფიქრობ, რომ ასანიძეთა პიროვნულ ტრაგედიას ისევ ასლან აბაშიძე განიცდის სხვებზე მეტად და გამოსავალსაც ის ეძებს სხვებზე უფრო. მეც ჩემდა წილად ვიტყვი — ღმერთმაც ქნას, რომ ასანიძეთა ბრალეულობა არ იყოს გაცდენილი საპატიებლის საზღვარს.

მინდა ისიც აღვნიშნო, საერთოდ, ხელისუფლების დემოკრატიულობა ფარდობითია, ამის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ აჭარის ხელისუფლება არავისზე ნაკლებ დემოკრატიული არაა.

არავინ გამიგოს ისე, თითქოს მდგომარეობას აჭარაში ვარდისფერით ვხატავდე. საერთო გაჭირვებიდან გამომდინარე, აქაც უჭირს მოსახლეობას, აქაცაა ელექტროენერგიისა და საწვავის ნაკლებობა, სიძვირე, ბევრიც შიმშილობს კუპონის შემყურე. მაგრამ ამის დაუნახაობაც არ შეიძლება, რომ, თავისი შესაძლებლობების ფარგლებში, აჭარის ხელისუფლება იბრძვის მდგომარეობის გამოსწორებისათვის.

და თუ აქაც თვითნებობენ ხოლმე შემთხვევით აღზევებულნი, თუ ზოგჯერ აქაც გაიპარპაშებს ხოლმე ერთი-ორი ყაჩაღი, მაინც, ეს არაა აჭარის ცხოვრების ნორმა და ესეცაა ბატონი ასლან აბაშიძის უდიდესი დამსახურება.

დასასრულ, დავძენ, რომ ასლან აბაშიძე მოღვაწეობს ურთულეს და კატაკლიზმებით აღსავსე ეპოქაში, მიუხედავად ამისა, ის ახერხებს ღირსეულად იხდიდეს ვალს მამულის წინაშე. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, თუ რაოდენ ნაყოფიერი იქნება მისი მოღვაწეობა სტაბილურ და მშვიდობიან საქართველოში.

**მერაბ ნემსაძე**

# საქართველოს მწერალთა კავშირის აჭარის ორგანიზაციაში

## დედა და პოეზია

აჭარის მწერალთა სახლში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი პოეზიის საღამო. იგი გახსნა და დარბაზში შეკრებილთ დედის დღე მიულოცა მწერალთა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ შოთა ზოიძემ.

პოეტებმა ქსენია მეავიამ, ამირან ხაბაზმა, დავარ გოგინეიშვილმა, ჟუჟუნა შაინიძემ, ზურაბ ფირცხალაიშვილმა, ბორის მეტრეველმა, რევაზ ჩხარტიშვილმა წაიკითხეს დედისადმი მიძღვნილი ლექსები. სიტყვით გამოვიდნენ მწერლები: ვახტანგ ახვლედიანი, ჰენრიეტა ქუთათელაძე, რამაზ სურმანიძე, ანა დუნდუა, ბათუმის ქალთა კომიტეტის თავმჯდომარე ეთერ ცეცაძე, ქალაქ ბათუმის მერი თეიმურაზ კომახიძე.

## შეხვედრა გურამ შარაძესთან

ბათუმელმა მწერლებმა შეხვედრა მოუწყვეს მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ გურამ შარაძეს. მან ისაუბრა ემიგრანტული მწერლობისა და ქართული კულტურის პრობლემებზე, საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკურ მოვლენებზე, უპასუხა შეკითხვებს.

## პავლე ინგოროყვა — 100

მწერალთა აჭარის ორგანიზაციამ და ბათუმის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა მოაწყვეს სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა დიდი მამულიშვილისა და მეცნიერის პავლე ინგოროყვას დაბადების 100 წლისთავს.

სესია გახსნა და პავლე ინგოროყვას ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისაუბრა მწერალთა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ შოთა ზოიძემ.

მოხსენებები — „50-იან წლებში გამართული დისკუსია პ. ინგოროყვას „გიორგი მერჩულეს" შესახებ", „პავლე ინგოროყვა და საქართველოს ძველი ისტორიის საკითხები", „პ. ინგოროყვა ქართული წარმართული კალენდრის მკვლევარი", წაიკითხეს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა დავით ხახუტაიშვილმა, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გამგემ, დოცენტმა აბელ სურგულაძემ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა ნოდარ კახიძემ.

სიტყვით გამოვიდნენ რუსთაველის პრემიის ლაურეატი, პოეტი ფრიდონ ხალვაში, მწერლები რამაზ სურმანიძე, ალექსანდრე ჩხაიძე, ბათუმის უნივერსიტეტის უფროსი მასწავლებელი ნესტორ ინწკირველი, ჟურნალისტი მიხეილ მშვიდობაძე, პოეტებმა ამირან ხაბაზმა და რევაზ ჩხარტიშვილმა წაიკითხეს პავლე ინგოროყვასადმი მიძღვნილი ლექსები.

## შეხვედრა აფხაზეთიდან ლტოლვილ მწერლებთან

აჭარამ და მისმა ხელისუფლებამ ფართოდ გაუღო კარი აფხაზეთიდან ლტოლვილებს. ყველაფერი კეთდება მათთვის, ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების შესაქმნელად. ლტოლვილთა შორის არიან პოეტები ვარლამ ბულისკერია, დავით გაბუნია და აპოლონ ჯინჯოლია, რომელთა მიმართ დიდ გულისხმიერებას იჩენს აჭარის მწერალთა ორგანიზაცია. ახლახან, ბათუმელმა კოლეგებმა მათ მოუწყვეს შეხვედრა, რომელსაც საზოგადოებრიობის ფართო წარმომადგენლებიც დაესწრნენ. მწერალთა აჭარის ორგანიზაციის თავმჯდომარემ შოთა ზოიძემ ისაუბრა შექმნილ სოციალურ-პოლიტიკურ ვითარებაზე და იმ ტრაგიკულ ხვედრზე, რაც თავს დაატყდა აფხაზეთის ქართველობას; შემდეგ შეკრებილთ წარუდგინა ლტოლვილი მწერლები.

პოეტებმა ვარლამ ბულისკერიამ, დავით გაბუნიამ და აპოლონ ჯინჯოლიამ შეკრებილთ მოუთხრეს აფხაზეთის ომში საკუთარი თვალით ნახული და განცდილი, უპასუხეს შეკითხვებს, მადლობა გადაუხადეს აჭარის ხელისუფლებას ლტოლვილების მიმართ გამოჩენილი მზრუნველობისა და საერთოდ იმ ბრძნული პოლიტიკისათვის, რომელმაც საქართველოს უმშვენიერესი მხარე აჭარა მშვიდობის ოაზისად აქცია.

სტუმრებს მიესალმნენ მწერლები: ა. ხაბაზი, ბ. მეტრეველი, ა. დუნდუა, დ. გოგინეიშვილი, ჟ. ხაჯიშვილი, ე. თავდგირიძე, რ. სურმანიძე, ჟურნალისტი რ. ჩაჩუა.

ლტოლვილ მწერლებთან შეხვედრას დაესწრო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ალექსანდრე გობრონიძე.

## „ჭოროხი" № 5–6

გამოვიდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და აჭარის ორგანიზაციის ორგანოს ჟურნალ „ჭოროხის" 1993 წლის მე-5-6 ნომერი.

პროზა და პოეზია წარმოდგენილია ალექსანდრე ჩხაიძის, ლადო სეიდიშვილის, ოთარ წულუკიძის, რეზო თებიძის, ჯემალ ჯაყელის, ბორის მეტრეველის, ანზორ ლორთქიფანიძის, ჟუჟუნა აბუსერიძის, ნანა ხალვაშის ნაწარმოებებით.

ჟურნალი მწერალ ალექსანდრე სამსონიას ულოცავს დაბადების 60 წლისთავს.

კრიტიკა და პუბლიცისტიკა წარმოდგენილია რაფიელ შამილაშვილის, ლადო შარაშიძის, ამირან კახიძის, მარინე ჯინჭარაძის, რევაზ ლორთქიფანიძის წერილებითა და ნარკვევებით.

რი), არამედ იქ, სადაც ეს ინტერნაციონალიზმი არ ჩანს და არც არის. უფლება მაქვს თამამად განვაცხადო: ჯ. დადიანმა არ იცის, რა არის ინტერნაციონალიზმი (მაგრამ ეს უცოდინარობა მას, ცხადია, ხრულებითაც არ უშლის ხელს, წეროს და ზმამაღლა ისაუბროს ნებისმიერ საკითხზე).

12. ჯ. დადიანს, მისი აზრით, ყველა ადრინდელ მეცნიერზე უფრო ღრმად და ყოველმხრივ განუხილავს „გამზრდელი" და მასში აღმოუჩენია სრულიად ახალი რამ: „აქამდე „გამზრდელი" მიჩნეული იყო წმინდა დიდაქტიკურ ნაწარმოებად. მისი ყოველმხრივ განხილვა ადასტურებს, რომ „გამზრდელი" მხოლოდ და მხოლოდ დიდაქტიკური ნაწარმოები როდია" (გვ. 306—307). მაშ, კიდევ რა არის? პოემა „სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოებიაო", — რიხიანი ტონით აცხადებს ჩვენი ავტორი. აღმოჩენაა, აბა რა! დღემდე არ ვიცოდით,-და თურმე „აკ. წერეთელმა „გამზრდელში" მოურიდებლად ამხილა უკუღმართი ცხოვრების წყლულები და ხალხს მოუწოდა მოქმედებისაკენ, ბრძოლისაკენ. „გამზრდელი" მაშინდელი წყობილების მამხილებელი ნაწარმოებია" (გვ. 306). და ა. შ. ასე გაჩნდა იმ ძველის, იმ უბადრუკი წყობილების მოსპობის დაუოკებელი ჟინი, რევოლუციური პათოსი, და... ჯ. დადიანის წიგნში „გამზრდელი" იქცა რევოლუციურ ნაწარმოებად. ამაში მდგომარეობს თურმე პოემის დიდი მნიშვნელობაც: „პოემას ერის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და მხატვრულ განვითარებაში იმის გამო აქვს დიდი მნიშვნელობა, რომ მასში მკაფიოდ და ემოციურადაა გადმოცემული უხამსი წყობილების სიძულვილი, რაც ნაწარმოებს რევოლუციურ ხასიათს აძლევს" (გვ. 322); „მგოსანმა ნიადაგი მოუმზადა ქართველი მშრომელი ხალხის რევოლუციურ მისწრაფებათა გაღვივებასა და მომწიფებას" (გვ. 323). ასე გამოდის, რომ აკაკის დაუწერია რევოლუციური ნაწარმოები და არა დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი ხასიათის თხზულება. ეს არის ფაქტისადმი ძალდატანების, ბარბაროსულად მოპყრობის იშვიათი ნიმუში, რამაც ა. წერეთლის უმშვენიერესი პოემა, შეიძლება ითქვას, ერთიანად დალეწა, ნამსხვრევებად აქცია. ახლის აღმოჩენის პრეტენზიამ — „გამზრდელის" გამოცხადებამ სოციალურ-პოლიტიკური ხასიათის ნაწარმოებად — უკარნახა ჯ. დადიანს მოქმედი პირები დაეჯგუფებინა და დაეხასიათებინა სოციალურ-კლასობრივი პრინციპით: საფარ-ბეგი — გაბატონებული კლასის ტიპიური წარმომადგენელი, ბათუ — ტიპიური ღარიბი გლეხი.

13. საფარ-ბეგი არის „გაბატონებული კლასის ტიპობრივი წარმომადგენელი" (გვ. 307). რა ნიშნების მიხედვითაა ასეთი? ის თითქოს ვერაგი, ბოროტი და კაცთმოძულეა, არის ამორალური პიროვნება. არავითარი ვერაგი და ბოროტი, არავითარი კაცთმოძულე საფარ-ბეგი არ არის. მართალია, ამორალური საქციელი ჩაიდინა, მაგრამ შემდეგ გულწრფელად ინანიებს ამას. ადამიანი რომ გაბატონებული კლასის ტიპიურ წარმომადგენლად მივიჩნიოთ, აუცილებელია, პირველ რიგში, ის იყოს ექსპლოატატორი. ასეთი კი საფარ-ბეგი არ არის. ჯ. დადიანს, ამრიგად, წარმოდგენა არა აქვს, ვის შეიძლება ეწოდოს მაღალი კლასის ტიპიური წარმომადგენელი.

14. დაინახა რა „გამზრდელში" დღემდე სხვა მკვლევართაგან სრულიად შეუმჩნეველი მოტივი, ამ აღმოჩენამ ისე გაიტაცა, ისე შორს გაიტყუა ჯ. დადიანი, რომ თითქმის მიავიწყდა ძირითადი და არსებითი — დიდაქტიკური საკითხი (სიტყვა „თითქმის" აქ შეიძლება ზედმეტიც იყოს). თავისი აღმოჩენით უზომოდ აღტაცებული (აფოფინებული) „მეცნიერი" პირდაპირ ამბობს, რომ პოემაში დიდაქტიკური საკითხები მხოლოდ საშუალებაა იმ ძირითადის გამოსახატავად.

ჰაჯი უსუბის მიერ თავის მოკვლის ფაქტი ჯ. დადიანს მიაჩნია მანკიერი საზოგადოებრივი წყობილების წინააღმდეგ მიმართულ პროტესტად: ჰაჯი უსუბის ასეთი „საქციელით პოეტმა გამოხატა მტკიცე პროტესტი მანკიერი საზოგადოებრივი ურთიერთობის წინააღმდეგ და მკაცრად დაგმოს" (გვ. 322). ნამდვილად კი ჰაჯი უსუბის მიერ ჩადენილ ქმედებაში ის მოიაზრება, რომ პოეტმა ამით ხაზი გაუსვა აღზრდის საქმეში აღმზრდელის როლსა და პასუხისმგებლობას. აი, ესაა მთავარი, ამისთვის დაიწერა პოემა. ხოლო თუ ამ ფაქტს (გამზრდელის მიერ საკუთარი თავისადმი გამოტანილ განაჩენს) ჯ. დადიანისეულ კომენტარს გავუკეთებთ, არსებითად ზიანდება და საგრძნობლად მახინჯდება, იკარგება პოემის დედა-აზრი.

15. დიდაქტიკურ-აღმზრდელობითი მოტივის მიჩქმალვამ განაპირობა ის, რომ აუხსნელი დარჩა პოემის ერთ-ერთი საყურადღებო ადგილი — „მაგრამ მარტო წვრთნა რას იზამს, თუ ბუნებამც არ უშველა". არაფერია ნათქვამი, თუ რას ნიშნავს „ბუნება". არადა, ამის გაშიფვრა-განმარტება მიუცილებლად საჭირო იყო, მით უფრო, რომ სამეცნიერო ლიტერატურაში „ბუნების" თაობაზე აზრთა სხვადასხვაობაა. პასუხგაუცემელია სხვა კითხვებიც, მაგ., რას ნიშნავს და როგორ გავიგოთ სათაურს ქვეშ მინაწერი — „ნამდვილი ამბავი"? და ა. შ.

16. აღმოჩენებით ზედმეტად აღტაცებული და დაბრმავებული კაცი, ბუნებრივია, სხვა რამეებს ვერ ხედავს, ვერ ამჩნევს იმას, რაც ნაწარმოებში ნამდვილად არის. აი, ამის კიდევ ერთი მაგალითი: სარეცენზიო წიგნში ერთი წინადადებით, ერთი სიტყვითაც კი არაფერია ნათქვამი ქართველ და აფხაზ ხალხთა ტრადიციულ მეგობრობაზე, რაც პოემაში ბათუსა და ნაზიბროლას ურთიერთ გულწრფელი სიყვარულის სახითაა ხორცშესხმული.

17. ცნობილია, რომ სხვა ერის წარმომადგენელთა დადებითად დახატვას აქვს უდიდესი მნიშვნელობა. „გამზრდელი" ამ მხრივ (ამ მხრივაც) სანიმუშო ნაწარმოებია და ვინც მასზე საუბრობს (აანალიზებს) ვალდებულია, ცხადია, საზგასმით, რელიეფურად წარმოაჩინოს პოემის ეს მხარეც, რაც აკაკის ფართო ინტერნაციონალურ ხედვაზე მიუთითებს. ჯ. დადიანის მიერ „გამზრდელის" ეს დიდმნიშვნელოვანი თემაც მთლიანად იგნორირებულია. მეტიც, სარეცენზიო წიგნში ბათუს ეროვნული სტატუსიც არაა გარკვეული (განსაზღვრული). „ქართული სტუმარ-მასპინძლობის განსაკუთრებული კეთილშობილებით დაცვა ბათუს მიერ", — ვკითხულობთ 314-ე გვერდზე. და იქვე (ცოტა ქვემოთ): „სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ ბათუსნაირი მამულიშვილებით". ამაზე იტყვიან, საიდან სადაო. ბოლოს და ბოლოს, ვინაა ბათუ? აფხაზია თუ ქართველი? თუ ორივე ერთად, რაღაც ჰიბრიდი? თუ ასეა, ე. ი. თუ ჰიბრიდია, მაშინ საქმე გვაქვს „გამზრდელში" ახალი პერსონაჟის აღმოჩენასთან.

18. ასეთი მიგნება-აღმოჩენები სხვაცა აქვს „მეცნიერს". ასე მაგალითად. „გამზრდელში" სავსებით ნათლად და გასაგებადაა ნათქვამი (და ნაჩვენები), რომ ბათუ არის საფარ-ბეგის ძიძიშვილი. ჯ. დადიანის ნაცოდვილარში კი საქმე სხვანაირადაა წარმოდგენილი. იქ ბათუ მხოლოდ ზოგჯერაა საფარ-ბეგის ძიძიშვილი, ზოგჯერ კი პირიქითაა, საფარ-ბეგია ბათუს ძიძიშვილი: „ძიძიშვილი სტუმრად ბათუსთან" (გვ. 308); „ბათუს ცხოვრების მთავარი აზრი ის არის, რომ თავდადებით ემსახუროს ძიძიშვილს" (გვ. 210); „ბათუ ასრულებს ძიძიშვილის დავალებას" (გვ. 332); „ბათუ მრისხანედ მიმართავს საფარბეგს, რომ მან იცის ძიძიშვილის მიერ ჩადენილი დანაშაულის შესახებ" (გვ. 332—333).

19. „მიჯაჭვულ ამირანს, პოეტის შეხედულებით, გაათავისუფლებს შეერთებული და ძლიერი მუშათა კლასი". — ვკითხულობთ 29-ე გვერდზე. აშკარად მცდარი აზრია. თავისი დებულების ცხადსაყოფად ასახელებს აკაკის ლექსს „საქართველოს დღევანდელი სახე" (1902 წ.), საიდანაც მოჰყავს სტრიქონები: „ვხედავ, ვხედავ მომავალში გამოსულა მუშათ ერი, ერთმანეთთან შეთანხმებით ძლიერი და ბედნიერი..." ჯ. დადიანს ნაწარმოების ანალიზის ოდნავი უნარი რომ ჰქონოდა, დამოწმებული სიტყვებიდან სულ სხვა აზრს ამოიკითხავდა: პოეტის შეხედულებით, მიჯაჭვულ ამირანს გაათავისუფლებდა არა რომელიმე კლასი, არამედ ერთ მუშტად შეკრული (კლასებად გაუთიშავი და ცალკეულ კუთხეებად დაუყოფელი) ძლიერი ქართველი ერი. დიახ ქართველი ერი! ამიტომაცაა, რომ ნაწარმოებში ჯერ საუბარია სწორედ ერზე და ეროვნებაზე: „ეროვნებავ! ღვთის ნიჭი ხარ..." აი, ეს ერია, რომ შრომობს, მუშაობს... ჯ. დადიანი შეცდომაში შეჰყავს ლექსში ნახმარ სიტყვას „მუშა". მაგრამ ხომ უნდა ცოდნოდა, რომ აკაკის „მუშა" არის არა ფაბრიკა-ქარხნის მუშა (პროლეტარი), არამედ ის, ვინც საერთოდ მუშაობს, შრომობს. აკაკი საუბრობს „მუშაზე" და გულისხმობს ზოგადად მშრომელს (მომუშავეს), ძირითადად, გლეხს. თვით ისეთ ლექსებშიც კი, რომელთაც სათაურად აქვთ „მუშები", „მუშის ნატვრა" და სხვა, ყველგან ყანისა და თოხის ტრფიალი მშრომელი (მუშა), ე. ი. გლეხია ნაჩვენები. ჯ. დადიანს წარმოდგენა არა აქვს ამ საკითხებზე და საერთოდ, 1905 წლის რევოლუციისადმი ა. წერეთლის მიდგომა-დამოკიდებულებაზე.

20. ლექსი „ინტერნაციონალი" წიგნის 229-ე და 247-ე გვერდებზე გამოცხადებულია ეჟენ პოტიეს ნაწარმოებად, ხოლო ყველა დანარჩენ შემთხვევაში (ასეთი კი ბევრია. იხ. გვერდები: 117, 230. 243, 263, 264, 266) მიჩნეულია ა. წერეთლის ლექსად. ბოლოს და ბოლოს ვისია „ინტერნაციონალი"? ჯ. დადიანის მსჯელობის ლოგიკით, უფრო ა. წერეთელს ეკუთვნის, ვინემ პოტიეს. და მართლაც, სარეცენზიო ნაშრომში ლექსი გაანალიზებულია 1905 წ. რევოლუციისადმი მიძღვნილ აკაკის სხვა ორიგინალურ ნაწარმოებთა თანაბარი უფლებით და გაჰკეთებულია დასკვნა, რომ „ქართველი პოეტის მიერ „ინტერნაციონალის" დაწერა განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტია" (გვ. 264).

21. „აკაკი წერეთლის „ხატის წინ" „პატრიოტიზმის მომხიბლავი ჰიმნია". ამ წინადადებით იწყება სათანადო თავი და ასე ჩადის ბოლომდის. კი მაგრამ ლექსის ცნობილ სტრიქონებში „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა", რომელიც წინამდებარე წიგნში დამოწმებულიცაა (გვ. 220), მარტო სამშობლოს სიყვარულია? იქ სხვაც არის, ცხადია. მაგრამ იმ სხვაზე (სახატე მთელი ქვეყანა არისო) ერთი წინადადებით, ერთი სიტყვითაც არაფერი არ არის ნათქვამი. ე. ი. ჯ. დადიანი ა. წერეთლის ინტერნაციონალიზმს ხედავს იქ, სადაც არ არის, ხოლო ვერ ხედავს იქ, სადაც ის ნამდვილად არის.

22. ჯ. დადიანს მიაჩნია, რომ „ი. ჭავჭავაძის ნათელ ხსოვნას აკ. წერეთელმა მიუძღვნა ორი დიდებული ლექსი: „დამარხვა" და „ილიას მოკვლის გამო" (გვ. 59). „დამარხვა" ილიას ხსოვნისადმი არ არის მიძღვნილი. „დამარხვა" კონკრეტულად არავის გულისხმობს. მასში საერთოდ, ზოგადადაა საუბარი ცოცხალი მოღვაწისადმი ქართველთა დამოკიდებულებაზე. ამიტომაც არ შეიტანეს ის 1907 წელს გამოცემულ კრებულში „ილია ჭავჭავაძის სიკვდილი და დასაფლავება".

23. ა. წერეთელმა დ. ყიფიანის ხსოვნას მიუძღვნა არა სამი ლექსი (გვ. 208), არამედ ორი — „განთიადი" და „ქართველი უცხოეთში". რაც შეეხება „დ. ყიფიანის სადღეგრძელოს", ის დაიწერა ადრე (1885 წელს), ადრესატის სიცოცხლეში (სადღეგრძელოს ცოცხალს უძღვნიან და არა მკვდარს).

24. ჯ. დადიანი ხშირად (ჩვეულებრივი ამბავია) ყოველგვარი შემოწმების გარეშე, მექანიკურად იმეორებს სხვის მიერ დაშვებულ შეცდომას, მეორადი წყაროდან მომდინარე უზუსტობას. ასე მაგალითად, წერს: „მან (ლუკა ისარლოვმა — ვ. ვ.) მთლიანად აკრძალა ი. ჭავჭავაძის („მუშა", „გაზაფხული", „ელეგია", „რა ვაკეთეთ, რას ვშვრებოდით") და აკ. წერეთლის („ავადმყოფი", „თვალს მიხვევენ, ენას მგლეჯენ", „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა", „ქართული ანბანი" და ა. შ.). რამდენიმე ნაწარმოები" (გვ. 235-236). აქ საქმე გვაქვს ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის II ტომის (1950 წ.) სარედაქციო შენიშვნების მცდარი ინფორმაციის (გვ. 475) თითქმის სიტყვასიტყვით გამეორებასთან. ლუკა ისარლოვს (ისარლიშვილს) ილიასა და აკაკის ზემოდასახელებული ლექსები არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ აუკრძალავს. ვერც აკრძალავდა. საქმე ისაა, ყველა ეს ლექსი (უკლებლივ ყველა) დაბეჭდილი იყო ჩვენი პერიოდული ორგანოების („ცისკარი", „საქართველოს მოამბე", „ივერია", „დროება") ფურცლებზე ბევრად ადრე (1859-1880 წლებში), ვიდრე ლუკა ცენზორად დაინიშნებოდა და მას ამ საქმეში რაიმე დაეკითხებოდა (ლუკა ისარლოვი ცენზორი იყო გასული საუკუნის 80-იან წლებში, სახელდობრ, 1881-დან 1888 წლამდე). აკაკის აქ ჩამოთვლილი ლექსების ხელახლა გამოქვეყნების საკითხი ლ. ისარლოვის ცენზორობის პერიოდში არც დასმულა. რაც შეეხება ზ. ჭიჭინაძის მიერ 1882 წელს (ლუკას ცენზორობისას) გამოცემულ კრებულებს: „დედა და შვილი და რამდენიმე ლექსი თ. ილია ჭავჭავაძისა" და „სალამური ანუ ლექსთა კრება № 1", იქ შევიდა ილიას ბევრი ნაწარმოები, მათ შორის ზემოხსენებული „გაზაფხული", „მუშა", „ელეგია". ესეც შენი ჯალათი ცენზორის მიერ მთლიანად აკრძალული ლექსები! სანამ რამეს იტყოდე და დაწერდე, ჯერ უნდა შეისწავლო და კარგად გამოიძიო საქმის ვითარება. მაგრამ ჯ. დადიანი ასე როდი იქცევა.

25. 1885 წელს „დროების" აკრძალვასთან დაკავშირებით პროტესტის ნიშნად ქართველმა მოღვაწეებმა „ხანჯალს" ცალკე ფურცლებზე დაბეჭდეს და ლუკა ისარლოვის სახელით ქალაქში გაავრცელეს. ჯ. დადიანი ამ ფაქტს ასეთ აბსურდულ კომენტარს უკეთებს: „ავტორის ვინაობის დამალვის მიზნით ნაწარმოებს მოაწერეს ვერაგი ცენზორის ლუკა ისარლოვის გვარი" (გვ 235). სინამდვილეში ლუკას გვარი ლექსს მოაწერეს შურისძიების მიზნით. ამით გაამწარეს (გულის მოსაფხანად უკბინეს) და მთავრობის წინაშე ერთობ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეს ჯალათი ცენზორი. ამის თაობაზე გარკვეულად და ნათლად მოგვითხრობს დ. მესხი (მომხდარი ამბის უშუალო მონაწილე და თვითმხილველი) თავის „მოგონებანი" (1940 წ. გვ. 96). რომელსაც, სხვათა შორის, ჯ. დადიანიც იმოწმებს. მაშ, რამ დაბნია და შეიყვანა შეცდომაში? აი, რამ: დ. მესხის წიგნს, ე. ი. პირველწყაროს უშუალოდ არ იცნობს. მას იმოწმებს მეორადი წყაროდან, სახელდობრ, ა. წერეთლის თხზულებათა სრული კრებულის II ტომის (1950 წ.) დართული სარედაქციო შენიშვნებიდან (გვ. 468), სადაც მემუარისტის სტრიქონები არაა ზუსტად და სრულად კომენტირებული. ჯ. დადიანის ჟონგლიორობას აშკარად ამხელს შემდეგი ფაქტიც: აკაკის თხზულებათა სარედაქციო შენიშვნებში შეცდომითაა მითითებული დ. მესხის „მოგონებანის" 93-ე გვერდი. ზუსტად ამ გვერდს ასახელებს, ე. ი. სხვის მიერ დაშვებულ შეცდომას იმეორებს სარეცენზიო წიგნის ავტორიც. სინამდვილეში კი ჩვენთვის საინტერესო საკითხზე საუბარია დამოწმებული წყაროს არა 93-ე, არამედ 96-ე გვერდზე. აღმაშფოთებელი ფაქტია, რომ დ. მესხის „მოგონებანის" (რომლისთვისაც თვითონ თვალი აღარ შეუვლია) გაცნობას ავალებს მოსწავლეებს (იხ. სარეცენზიო წიგნის გვ. 234). უსახელებს სათანადო გვერდს — 93-ეს, ე. ი. იმ გვერდს, რომელსაც თვითონ არასწორად უთითებს. ეს არის მკითხველთა დეზორიენტაციის დიდებული მაგალითი. რა სასჯელის ღირსია ის, ვინც ამას აკეთებს? პასუხის გაცემა მიჭირს.

26. პროფ. რუსუდან ნიკოლაძე თავის მოგონებაში „რიონის პირას" (იხ. ლიტერატურის მატიანე", 1942 წ., წიგნი 3—4, გვ. 115) საუბრობს (ნიკო ნიკოლაძის ნაამბობზე დაყრდნობით) იმ შთაბეჭდილებაზე, რომელიც ა. წერეთელმა მიიღო ნ. ჩერნიშევსკის ოჯახისა და პირადად ამ ოჯახის უფროსის ნახვით (რასაც ადგილი ჰქონდა 1862 წლის ივნის-ივლისში). ჯ. დადიანის კომენტარით კი გამოდის, რომ აკაკი ჩერნიშევსკის შეხედულებებს საერთოდ ამ დროს გაეცნო პირველად (გვ. 38) ეს სიყალბე — უზუსტობა იმან განაპირობა, რომ ჩვენი ავტორი რ. ნიკოლაძის მოგონებას უშუალოდ არ იცნობს. იმოწმებს კი, მაგრამ იმოწმებს რომელიღაც სხვა (მეორადი) წყაროდან. ამაზე აშკარად მეტყველებს შემდეგი ორი ფაქტიც: ა) ნაცვლად პირველწყაროს სწორი დასახელებისა („ლიტერატურის მატიანე", 1942 წ., წიგნი 3—4), წერს (უთითებს) ასე: „ლიტერატურული მატიანე" (1927, 3—4); ბ) ჯ. დადიანის მიერ ციტირებული ადგილი ზუსტად არ ემთხვევა რ. ნიკოლაძისეულ ტექსტს (შეუდარეთ ერთმანეთს და სულ ადვილად დარწმუნდებით ამაში).

27. 1888 წლის 25 სექტემბერს, ღამის 3 საათზე თბილისის სახტუმრო „ივერიაში" ვიღაც მოსყიდული გარეწარი აკაკის თავს დაესხა მოკვლის მიზნით. „ამ ფაქტისათვის რატომღაც მკვლევარებს ყურადღება არ მიუქცევიათ", — წერს ჯ. დადიანი (გვ. 53). მაგრამ ყველაფერი ეს ცნობილი და გახმაურებული ამბავია. ამ ფაქტს საგანგებოდ ეხება და სათანადო კომენტარებს უკეთებს ლევან ასათიანი თავისი გამოკვლევის „ცხოვრება აკაკი წერეთლისა" პირველ გამოცემაში (1940 წ., გვ. 340).

თვითმარქვია მეცნიერი, რომელმაც არ იცის, ივ. კერესელიძის „ცისკარი" გაზეთი იყო თუ ჟურნალი (გვ. 58), იმოწმებს ძველ პერიოდულ გამოცემებს („დროება", „ივერია", „კვალი", „თემი"...) რომლებისთვის თვალი აღარ შეუვლია. შორიდანაც არ შეუხედავს. ამით (ამითაც) არის გამოწვეული (გაპირობებული) ის ფაქტი, რომ წინამდებარე წიგნში ძალიან ხშირად ვხვდებით ლოგიკური შეუსაბამობანი და წინააღმდეგობები (ურთიერთ გამომრიცხველი მსჯელობები). ერთ საგაზეთო სტატიაში შეუძლებელია სარეცენზიო ნაშრომის ყველა ლაფსუსისა და ხარვეზის აღნუსხვა (ზოგ მათგანზე სხვა დროს, ცალკე მექნება საუბარი).

უკვე სამი-ოთხი ათეული წელია, რაც ჯ. დადიანი უხვად ბეჭდავს ამ დონის „ნაშრომებს". საკითხავია, როგორ ახერხებს მაკულატურის ასე ოპერატიულად გამოქვეყნებას ჯერ ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე, შემდეგ სქელტანიან წიგნებად?

აღმაშფოთებელი ფაქტია, რომ ჯ. დადიანის ამ ე. წ. ნაშრომებს უკეთდება ფართო რეკლამა. იბეჭდება და იბეჭდება მრავალი სათაურების მქონე ხოტბითი რეცენზიები (ასე მაგ., „აკაკი წერეთელზე" დაბეჭდილი ერთ-ერთი დიდი რეცენზიის სათაურია „მეთოდიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენი"). ჩასატარებელია ატესტაცია და შესამოწმებელია ამ მეხოტბე რეცენზენტთა (ისინი მეტწილად განათლების დარგის მუშაკები არიან) აკადემიური დონე. თორემ... თორემ ცუდადაა საქმე. საფრთხე ემუქრება მეცნიერების პრესტიჟს, წვალინდელ დღეს, ქვეყნისა და ერის მომავალს, დუმილი აღარ ეგების! თუ კიდევ გავჩუმდებით ვარჩევთ, „ვიქნებით შვილთა ჩვენთაგან გინებით მოხსენიებულნი" (დ. გურამიშვილი).

## ჟემზარ კვიტაიშვილი

# საგაზაფხულო კალეიდოსკოპი

### შედეგი

ნავსაყუდელი არსად გვეგულვის,
ყველგან ნგრევა და ფერფლი...
დღეს საქართველო — მოპოვებული
თავისუფლების მსხვერპლი.

### დაქიქცნილი სამშობლო

შავმა გუნდმა ყორნებისამ
თავი, ბოლო წაგათალა...
იქით არი აფხაზეთი,
აქეთ დარჩა ზაქათალა.

### საქართველოს

შენც იცი, რომ ვერ გიპატრონეს,
შენს ბედზე როდი ფიქრობს ყველა,
კაცობას ნუ სთხოვ კუჭის მონებს,
ბევრი გაიქცა, თავს უშველა.

### მცირე საყვედური

სამშობლოს უნდა გამოდგომოდი,
თუ კაცი ხარ და არა —კომოდი.

### სულ არაობას სჯობს

თქმა არ უნდა, ქართველებს
გვაქვს ალლო და გეში;
თავწაცლილი შევედით
ბოლოს ეხენგეში.

### აფხუები სტატუსს ითხოვენ

ხართ ხროვა სისხლისმსმელების,
უზედურების მთესარი;
დაბადებითვე მკვლელები —
თქვენი სტატუსი ეს არი.

### ჩვენი ბრალიც არი

ვერ მოვთოკეთ აფხუების
ქცევა აბსურდული;
ხელში შეგვრჩა საქართველო
დაშლილ-აბურდული.

### სტრატეგიული გეგმა

ქართველთა მკვლელებს ასე ენებათ—
რა უნდათ, ვიცით დანამდვილებით:
ჩვენი გაწყვეტა, გადაშენება,
ჩვენ — ლტოლვილები, იმათ —
ვილები.

### [illegible]

სისხლისმსმელებს ვენდე და
გამიმართეს ვენდეტა...
დაიცადე, არძინბავ,
გეტირება შენ დედა!..

### ჩავლა ვერის უბანში

სიმართლის ნაცვლად — „უტკები“,
ყოველ ნაბიჯზე — „ბუდკები“;
ლამის ამოვწყდეთ, არ წყდება
სროლის ხმა, ბათქა-ბუთქები.

### გაგვითავდა ჩაის ფერი

ამ დილით (მოხდა ისე),
დავლიეთ ჩაიც ვერა;
ამ დროს კუჭს რით არ ივსებს
ათასი გაიძვერა.

### რაღას უცდი...

მოიშორე ეგ ხლაფორთი,
ბარემ შენც გადოქტორდი,
იმდენ კუპონს კი მოგცემენ,
თვეში ერთხელ ჭამო ტორტი.

### უგოლოდ თავდალმართი

იმედი გვქონდეს რა გზის და ხიდის,
რის აქციები, ვაუჩერები...
ვინ დააკავებს, მიდის და მიდის
კრიზისი ჩვენი, გაუჩერები.

### ვის ვადანაშაულებთ...

რა ბრალია ეხენგეხი,
თუ ვაფეთქეთ ყველა ჭეხი.

### ვაღიაროთ...

სხვას ნუ დავცინით, სხვისი ნუ
გვიკვირს,
რა ცრუ-დიმიტრი, რისი ნიკიტა,
ეს საქართველო — მორჩილი, ბრიყვი
ერთმა შეშლილმა წამოიკიდა.

### ხმა განწირულის

რის ემსხია, რა ექსპანსია,
აღარც ხელფასი, აღარც პენსია,
სად, სად ვიპოვო მე დამნაშავე,
ვის ვუთხრა — ჩემი ცოდვა შენზეა!..

### ნარკობიზნესის კლანჭებში

ახპარეზი მივეცით
მტერს უშქსა და უშტარს,
ქართველებში პოულობენ
ოპიუმის მუშტარს;
ეჭვი მწამლავს — ვერასოდეს
შევიკვრებით მუშტად.

### ვალიუტის გამცვლელები

როგორ ვისწავლო ვაჭრობა —
ბითუმი ანდა საცალო,
რად მინდა პუნქტი ამდენი,
რა რაში უნდა გავცვალო.

### რანაირად ვარსებობთ...

საითაც არ გაიხედავ,
ყველაფერი — ბლეფი, ლიპა...
ველარც დათვლი, საქართველო
მერამდენედ გაიყვლიფა.

### ცინიზმი

რა ვუყოთ ამდენ თვალთმაქცს,
[illegible]
ხალხს შვება მისცენ — ამას ებრძვიან
თვით ფულისტები — პოპულისტები.

### უსამართლობასთან მებრძოლს

თავი ტყვილა რად იკალი,
რად ხარ, ბიჭო, რადიკალი?.

### სამწუხარო სიმართლე

ყური მოვკარი, ამბობდნენ —
არვის სურს შრომა-გარჯაო,
ეროვნულ მოძრაობისგან
მარტო წვერები დარჩაო.

### „გადამტრიალებელი“

ბოროტება და სისარბე
ზნე არი ადამიანთა,
პოსტი და ძალა-უფლება
კრეტინს არ უნდა მიანდო.

### მიწისძვრეშა გადასახვლელები

შარდის და შმორის წაგაქცევს სუნი...
რამდენი ვიგინდარა...
ვერსად ვერ ნახავთ ქალაქს
წაბილწულს,
ჩვენი თბილისის დარად.

### ისრისება ქართული წიგნი

აშკარად ვხედავთ, დრო გვიდგას შავი,
ქართულო წიგნო, სულმთლად გაქრები,
გაზის რამდენი ძერა და სვავი,
ბოლოს გილებენ შენ სოვდაგრები.

### დაწვეს კაფე „მზიურთან“,
### გადაბუგეს სენაკის გამგეობა

რა გაამაგრებს ჩვენს ციხეს,
რომელი ბურჯი და ქვაი?!—
არ იქნა, არ გაიხვეტა
წყვდიადისტური ნაგავი.

### მტრობის ნიჭი

შენ ვერ გაჭრი იმდენად,
მტრის ხერხო და ფანდო,
საქართველოს დაქცევა
ქართველს უნდა ანდო.

### პირის ზამტეხი

რად ვიქეცით, ყველა ხედავს —
სანამდისაც მივედით,
მტერი იყოს ამ თვალთმაქცურ
პარტიების იმედით.

### ქვეყნის დამღუპველები

მტრის კარს ამდენი —
გიჟი, პროფანი...
ბოლოს მოგვიღებს
პარტიობანი.

### სხდომა ჩაიშალა

გაგვიღიმება დარჩენილს სასტად,
სხვას არ უმადლი,
თავსაც ემდური —
სულმთლად უაზრო, ბაზრული გახდა
ეს დებატები პარლამენტური.

### ღალატი — ქართველთა თვისება

ბოლოს ბოლო ხომ მოგვიღე,
ჭირო, თავს რო მალავდი,
ვერავგობას მტრისას ჩვენი
დავამატეთ ღალატი.

### ცუდ დღეში ვართ

[illegible]
ლობეც არ შეგვრჩა ძეძვის;
დღეს ყველა ბრიყვი და უნამუსო
ქვეყნის მეთაურს ებრძვის.

### სხდომების ანარეკლი

ქვეყანას ღუპავს ეს ორი
(რაც ხდება, აღარ მიკვირს);
ბოროტი — შეგნებულად და
შეუგნებელად — ბრიყვი.

### მახსენდება ძველი კინოაფიშის
### კომიკური თარგმანი

მსურს ერთ დეპუტატს ვკითხო,
ლიბერალს
(მე მის მიკროფონს დღეიდან ვთიშავ),
ლიდერის პოზა რომ შეიფერა:
„ეს რა იკადრა მფრინავმა მიშამ?!..“

### ისევ ღმერთის იმედზე

მტრეში საკუთარ თავისა
სვედრს აგვაშორე საშინელს,
ბევრჯერ გიხსნივართ, უფალო,
ერთხელაც გადაგვარჩინე!.

## ეგნატე გაბლიანის გახსენება

ეგნატე გაბლიანი დაიბადა 187
წელს, ზემო სვანეთის მულახი
თემის სოფელ ჭოლაშში. ჩვენ
საუკუნის ოციან წლებში მა
მშობლიურ სოფელში დააარს
მხარეთმცოდნეობის მუზეუმი დ
გაამდიდრა იგი უნიკალური ის
ტორიული მასალებით. მან
დაწერა ზემო სვანეთის ისტო
რიის ამსახველი პირველი საგუ
ლისხმო შრომა „სვანეთი“.
ოციან წლებში ეგნატე წარ
მართავდა რეგიონალურ გა
მათავისუფლებელ მოძრაობა
24-ის აჯანყების ჩახშობის შე
დეგ იგი ერთ ხანს იმალებოდ
როდის-როდის მთავრობა შეუ
რიგდა და თბილისში მიიწვი
აქ პირველ ხანებში დაზღვევი
სამმართველოს უფროსად იმუშა
ვა. ამ დროს მთავრობამ (რეს
პუბლიკის ცაკ-ს იმ ხანად ფი
ლიპე მახარაძე თავმჯდომარეობ
და) დააყენა საკითხი სვანეთი
გზის მშენებლობის დაწყების შე
სახებ. მშენებლობის უფროსად
ეგნატე გაბლიანი დაინიშნა. ეგ-
ნატემ წარმატებით გაასრულა
გზის მშენებლობა. სწორედ იმხა-
ნად დაწერა და გამოაქვეყნა
წიგნი „განახლებული სვანეთი“.
ოცდაჩვიდმეტი წლის სისხ-
ლიანმა ტერორმა შეიწირა დი-
დებული მამულიშვილი. მისი მე-
უღლე ვერა გაბლიანი 1951
წელს შუა აზიაში გაასახლეს,
1958 წელს იგი გაათავისუფლეს;
მალე ეგნატეს რეაბილიტაციაც
გამოცხადდა.
ეგნატეს ვაჟი — გივი გაბლი-
ანი მეორე მსოფლიო ომში მონა-
წილეობდა. იგი სამხედრო ექი-
მი იყო. მრავალი ქართველი ახ-
ალგაზრდა იხსნა მაშინ. ომის
შემდეგ გივი გაბლიანმა ცოლად
შეირთო პარიზში მცხოვრების
ცნობილი ქართველი დიპლომა-
ტის ალშიბაიას ქალიშვილი. გი
ვი გაბლიანი დიდი ხანია ამერი
კის შეერთებულ შტატებში
ცხოვრობს. იგი სამი შვილის მ
მაა. გივი გაბლიანი ნიადაგ ი
[illegible]
საქართველოს საიკეთოდ. მომ
ვალში, ალბათ, მრავალი მის
კეთილი ნამოქმედარი წარმოჩნ
დება. გივის იცნობენ უცხოეთშ
და ჩვენშიც, როგორც იშვია
დასტაქარსა და გულის მკურ-
ნალს, საუცხოო პოლიტიკურ და
სამხედრო მოღვაწეს, პუბლი-
ცისტს და, რაც მთავარია, ეგნატე
გაბლიანის ღირსეულ შთამომა-
ვალს.

**ილია ადეიშვილი**

14 მაისს, შაბათს, 14 სა
ათზე, გალერეა „ორიენტ
ში“ (მარდენის ქუჩა № 10
იხსნება ქართველ მხატვარ
თა ნამუშევრების გამოფ
ნა (ფერწერა, გრაფიკა).


მთავარი რედაქტორი თამაზ წივწივაძე

სარედაქციო კოლეგია: თემურ აბულაშვილი (პასუხისმგებელი მდივანი), შაბუა ამირეჯიბი, ლაშა თაბუკაშვილი, რევაზ თვარაძე, ჯუმბერ თითმერია (მთავარი რედაქტორის მოადგილე), კობა იმედაშვილი, ანა კალანდაძე, თამაზ კვაჭანტირაძე, მურმან ლებანიძე, დათო მაღრაძე, როინ მეტრეველი, ნოდარ ნათაძე, გურამ ფანჯიკიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჩხეიძე, თამაზ ჩხენკელი, ტარიელ ჭანტურია, რეზო ჭეიშვილი, თამაზ ჭილაძე.

მორიგე რედაქტორი ბორენა ჯაჭვლიანი



რედაქციის მისამართი:
380008, თბილისი,
გუდიაშვილის
მოედანი № 2.
ტელეფონები:
მთ. რედაქტორის მისაღები — 99-84-04
მთ. რედაქტორის მოადგილე — 98-36-68
პასუხისმგებელი მდივანი — 99-67-10
განყოფილებები: პოეზიის და პროზის — 98-36-68
კრიტიკის, პუბლიცისტიკისა და ინფორმაციის—99-03-65,
ხელოვნების — 98-36-68, ილუსტრაციისა და რეკლამის—
99-91-89, ბუღალტერია — 99-72-89


რედაქციაში შემოსული მასალა არ უნდა აღემატებოდეს მანქანაზე ნაბეჭდ 8 გვერდს. მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.


დამფუძნებლები:
საქართველოს
მწერალთა კავშირი
გაზეთ „ლიტერატურული
საქართველოს“
რედაქცია



ჩვენი გაზეთის
გენერალური სპონსორი
კონცერნი „გულანი“
პრეზიდენტი
გურამ ახრახაძე



ინდექსი 98000 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17. საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობის „სამშობლოს“ სტამბა, თბილისი, ვ. კოსტავას ქ. № 14.

გვ. „ლიტერატურული საქართველო".

# იძულებითი პუბლიკაცია

„ლიტერატურული საქართველოს" 1991 წლის 22 თებერვლის ნომერში დაიბეჭდა აპოლონ ცანავას წერილი-პასკვილი [illegible] სათაურით „[illegible] აკაკი თოფურიასთან". ეს იყო ასევე გაზეთში ხსენებული ავტორისგან [illegible] ტენდენციური გამოსვლის [illegible] (იხ. „[illegible] პოზიციებიდან", 1990, 11 ივლისი, ჩვენი პასუხი, 1990, 19 ოქტომბერი).

იმ ხანებში „წიგნის სამყაროს" 1991 წლის 27 მარტის ნომერში გამოქვეყნდა ომისა და შრომის ვეტერანების კოლექტიური საპასუხო რეპლიკა ა. ცანავას მიმართ ყურადსაღები სათაურით — „პირადული ინტრიგა თუ სხვა რამ?". რამაც მაშინ ხელი [illegible] ორივეს შესახებ კანონის შესაბამისად „ლიტერატურული საქართველოს" [illegible].

ბოლო ხანებში სარწმუნო წყაროებით ჩემთვის ცნობილი გახდა ა. ცანავას ფარული მოქმედების, პიროვნული ღირსების შემლახველი აღმაშფოთებელი ფაქტები. იგი ზოგიერთ რედაქციაში (მათ შორის „ლიტერატურულ საქართველოშიც") უტიფრად ავრცელებს ცილისწამებლურ ისეთ ხმებს, რომლებსაც არაფერი აქვს საერთო სინამდვილესთან. ამ გზით ახერხებს წერილების ბეჭდვას.

ამიტომ ყოველგვარი გაუგებრობის გაფანტვის, ასეთი მახინჯი მოვლენების აღკვეთის და მოქალაქეობრივი სიწმინდის შეუბღალავად შენარჩუნების მიზნით იძულებული გარ, რაიმე კომენტარის გარეშე თქვენ გაზეთში გამოვაქვეყნო საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში დაცული ჩემი მოგონებებიდან შესატყვისი ეპიზოდები, რისთვისაც წინასწარ ვიხდი ბოდიშს (იხ. ხელნაწერთა ფონდი № 027022, გვ. 587-597).

...„საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს 1975 წლის 31 მარტის (№ 132) ბრძანებით შეიქმნა სამინისტროს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭო, დამტკიცდა დებულება ძირითადი და დამხმარე სახელმძღვანელოებისა გრიფის მინიჭების წესების შესახებ (მანამდე ამ ფუნქციას საგნობრივი სასწავლო-მეთოდური საბჭოები ასრულებდნენ). გარკვეული ხნით ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს ხელმძღვანელობასთან ერთად პარალელურად დამეკისრა ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო-მეთოდური სექციის თავმჯდომარის მოვალეობა, რაც ჩემს საზოგადოებრივ დატვირთვას კიდევ უფრო აფართოებდა და ამძიმებდა.

სექციაში გაერთიანდა ქართულ ფილოლოგიაში შემავალი ყველა დარგის სპეციალისტი. ეს საშუალებას იძლეოდა პასუხისმგებლობით მოვკიდებოდით სამინისტროს სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოდან გამოგზავნილ ნაშრომებს, რომლებსაც სათანადო გრიფი მხოლოდ სექციის გადაწყვეტილების საფუძველზე ენიჭებოდა. ამ ღონისძიებას მოყვა ყოველ ორ წელიწადში სამინისტროს პრემიების ლაურეატების საკონკურსო წესით გამოვლენა საუკეთესო სახელმძღვანელოების შექმნისათვის. სექციის თავმჯდომარის მოვალეობას 1988 წლამდე ვასრულებდი.

სექციაზე განხილული ორმოცზე მეტი ნაშრომიდან ორის მწარე მოგონება დაკავშირებულია 70-იან წლებში სამედიცინო ინსტიტუტში აბიტურიენტთა საგამოცდო პროცესებში გამომჟღავნებულ დარღვევებთან, ინსტიტუტის რექტორის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემის, მექრთამეობის ბრალდებით ჩვენი უნივერსიტეტის ორი პროფესორის დაპატიმრების ფაქტებთან. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივანი ე. შევარდნაძე 1974 წლის 16 ნოემბერს რესპუბლიკურ პარტიულ პლენუმზე ამბობდა:

„უმაღლესი და საშუალო განათლების სამინისტრომ, პირადად მინისტრმა და სხვა ამხანაგებმა ამ მხრივ კარგად უნდა მოიფიქრონ, ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ მათ აქვთ პრინციპული პოზიცია, შინაგანი სიძულვილი და შინაგანი პროტესტი ყველა ამ მოვლენის მიმართ. მაგრამ გაუგებარია, რომ უნივერსიტეტის ორი პროფესორი დაპატიმრებული და პასუხისგებაში მიცემული, — და ეს, ამხანაგებო, სრულიადაც არ არის ჩვეულებრივი ამბავი. საჭიროა შევკრიბოთ მთელი აქტივი და ყველა ამხანაგს გავაცნოთ ამის გამო შექმნილი საგანგაშო მდგომარეობა. ჩვენ უნდა განვაწყოთ ადამიანები, შევქმნათ საზოგადოებრივი აზრი ცალკეული ფაქტების გარშემო" (გაზეთი „კომუნისტი", 1974, 17 ნოემბერი).

...მატარებლით სოხუმიდან ჩამოსულს ბინის კართან დილის ცხრა საათზე მოულოდნელად პროფ. ივანე ქავთარაძე დამხვდა. გოლცებისაგან კარის გაღება ვერ მოვასწარი, ბატონმა ივანემ შემაჩერა და მითხრა:

— დაგირეკავენ პროკურატურიდან, ძალიან გთხოვ უარი არ უთხრა.

— რაზე, რისთვის?

— საექსპერტო კომისიის თავმჯდომარედ ხართ დანიშნული. თქვენი წევრები უკვე ერთი კვირაა პროკურატურაში მუშაობენ. თქვენზე შევსებულია ყველა დოკუმენტი ხელმოსაწერად და უარი რომ უთხრათ, ხელახლა გახდება გადასაწერი.

— რა დოკუმენტებზე ლაპარაკობთ, ბატონო ივანე, ჩემთვის გაუგებარია თქვენი სიტყვები.

— თბილისში თქვენი არყოფნის დროს სამედიცინო ინსტიტუტის საქმეზე საექსპერტო კომისიებია შექმნილი მათემატიკაში, ბიოლოგიაში, ქიმიაში და ქართულ ენასა და ლიტერატურაში. ამ უკანასკნელის თავმჯდომარედ დამტკიცებული ხართ ყველა ინსტანციაში. ხომ იცით, მეც ვიყავი ერთ-ორჯერ ქართულ ენასა და ლიტერატურაში საგამოცდო კომისიის თავმჯდომარედ სამედიცინო ინსტიტუტში. იქნებ რაიმე შეცდომა მომივიდა. დაპატიმრებულებს რაიმე ეშველება, მაგრამ ჩემი პერიოდის ნაწერების შემოწმება თქვენი მეთვალყურეობით მინდა ჩატარდეს. მე დამდეთ პატივი და უარს ნუ ეტყვით.

ეს ბოლო სიტყვები ხვეწნას უფრო ჰგავდა, ვიდრე თხოვნას. ივანე ქავთარაძეს ვიცნობდი როგორც ქართული ენის გამორჩეულ სპეციალისტს, სპეტაკ და პატიოსან მეცნიერს, პიროვნებას, რომელმაც დაიკავა დაპატიმრებულის ნაცვლად ჟურნალ „სკოლა და ცხოვრების" კვარტალური დამატების — „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში" რედაქტორის ადგილი. ახლა, რაღაც მოჩვენებითი შიშით შეპყრობილი, მთელ იმედებს თითქოს ჩემზე ამყარებდა. ეს შიში პლენუმზე პირველი კაცის მიერ მინისტრის მისამართით ნათქვამი ზემოთ მოტანილი სიტყვის შემაშფოთებელი, საგანგაშო ტონიდან გამომდინარეობდა. იგი ახალი ცოცხით ძველი ნაგვის გაყრას ლამობდა. მაშინ ჯერ კიდევ არავინ იცოდა, აურზაურის ატეხილ ქექა-ქუხილში ახალი სიყალბისა და მექრთამეობის, რამდენი ახალი ორგიების გაუშლელი „ნერგი" და „ყლორტი" იფარებოდა.

ოთახის კარი გავაღე, ხელის დაბანა ვერ მოვასწარი, უცებ ტელეფონის ზარის ხმა გაისმა.

— ა, ხომ გითხარი. — თქვა ბატონმა ივანემ. საქართველოს მაშინდელი პროკურორის არონ ტაკიძის თანაშემწემ მაცნობა — მანქანა წამოსულია თქვენ მოსაყვანად და ყურმილი დამიკიდა...

...რესპუბლიკის მაშინდელ პროკურორს ვაკის პარკიდან ვიცნობდი. თადარიგის გენერალ-მაიორ ნიკოლოზ თავართქილაძესთან ერთად იგი კვირაობით საღამოს საათებში გამოდიოდა სასეირნოდ პარკის ხეივნებში და ხშირად შევხვედრივარ, გვისაუბრია. არასოდეს მქონია შემთხვევა ჩემი ვინაობა გამეცნო. კაბინეტში რომ შემიყვანეს, უცებ გაუკვირდა თითქოს, ცოტათი შეცბუნდა, წამოდგა სკამიდან და ოფიციალურად მომესალმა.

— თქვენ თუ იყავით ის პროფესორი, ყველგან რომ მოწონებით დაგამტკიცეს, როგორც მიუკერძოებელი, მართალი გითხრათ, არ მეგონა. დიდად საპასუხისმგებლო მოვალეობა დაგეკისრათ პარტიისა და მთავრობისაგან. ჩვენი გამოძიება თქვენს დასკვნებს დაემყარება. ალბათ, იცით რაზეა ლაპარაკი.

— თუ თქვენზეა დამოკიდებული, მადლობელი ვიქნები, დღესვე გამანთავისუფლოთ პარტიისა და მთავრობის ესოდენ საპასუხისმგებლო მოვალეობისაგან. — ვუპასუხე პროკურორს.

— ეს შეუძლებელია. ერთი კვირაა გელოდებით. თქვენს კომისიასთან გაპიროვნებულია ორი თქვენი კოლეგა პროფესორის საქმეთა გამომძიებელი წულაია. ის ჩაგაყენებთ ყოველი დეტალის კურსში. თუ რაიმე გაუგებრობა წარმოიშობა თქვენს მუშაობაში, შეგიძლიათ პირადად დამიკავშირდეთ...

...გამომძიებელ წულაიასაგან იმ დღესვე დაწვრილებით გავიგე ამ ორი, ე. წ. „კოლეგა" პროფესორის დაპატიმრების ნივთიერ მტკიცებათა „ნუსხა".

უნივერსიტეტის ფოლკლორის კათედრის პროფესორი ქართული ლიტერატურის სასწავლო-მეთოდური საბჭოს რესპუბლიკურ თათბირ-სემინარზე 1971 წელს მოხსენებით გამოვიყვანე უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში ფოლკლორის სწავლების საკითხებზე. ამ შემთხვევაში დავემყარე მისი კათედრის გამგის, ქალბატონ ქს. სიხარულიძის რეკომენდაციას. ა. ცანავა შუამავლობისათვის დააპატიმრებინათ. როცა ფულის მიმცემ თანამარტვილელს უმხელია, მაშინვე განცხადებით მიუმართავს პროკურატურისათვის, მშობლიურ პარტიას ვერ ვუღალატებ, ფული ავიღე და საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს მივეციო. გამოძიებას პირისპირ წაუყენებია ორივე. თავის მხრივ აპოლონ ცანავა ყოფილ თავმჯდომარეს ახსენებდა, მე ის აპოლონი ვარ, შენი მეგობარი, ფული რომ გადმოგეცით, ხოლო მიმღები გამოძიებას თვალს უხვევდა ვითომ, ვინ არის ეს კაცი, მომაშორეთ აქედან, პირველად ვხედავო.

...ინფორმაციები მიღებული მქონდა, როცა იმავე დღეს რესპუბლიკის პროკურატურის შენობაში შევუერთდი საქსპერტო კომისიის წევრებს, აწ განსვენებულ პროფ. ილია ნატროშვილს და მაშინ პროფესორს, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორს, ამჟამად ახალი ქართული ენის კათედრის გამგეს, ქალბატონ ელენე ბაბუნაშვილს. აქ მათ დამახვედრეს იმ აბიტურიენტის წერითი ნამუშევარი, რომლისგანაც ქრთამი ჰქონდათ აღებული დამნაშავეებს. ნაწერი შეფასებული იყო კარგზე. კომისიის წევრთა აზრით, ნიშანი უნდა ჩამოკლებულიყო დამაკმაყოფილებელ შეფასებამდე, რადგან ამას დაჟინებით მოითხოვდა პროკურორი. ამ პოზიციის გასამაგრებლად ნაწერში ნაპოვნი იყო გაუსწორებლად დატოვებული ორთოგრაფიული და სხვა ხასიათის შეცდომები. გულდასმით გადავიკითხე ნაწერი, გამოვხატე ჩემი ბოღმა და გულისწყრომა თვით დაკისრებული უმადური საქმიანობის გამო და ბოლოს უარი განვაცხადე ჩამოკლებული ნიშნის თანხმობაზე.

— პროკურატურას, როგორც მე შევატყვე, საკმაო ნივთიერი მტკიცებები მოეპოვება წაყენებული ბრალდების დასამტკიცებლად. ჩვენი მხარდაჭერით ისინი შეეცდებიან გააძლიერონ სასჯელის ზომა. ნიშნის დაკლება სასჯელის გაორმაგებას ნიშნავს, დატოვება კი — განახევრებას. შევთანხმდეთ, როცა ნაწერში შეფასების ქულა კარგსა და საშუალოს შორის ქანაობს, ნახევარი აქეთ გადმოიხრება თუ იქით, ეს ინსტრუქციით არავითარ ბოროტებას არ წარმოადგენს. ჩვენ ფეხს ნუ დავადგამთ წაქცეულებს. დარჩეს წინანდელი შეფასება.

— ამას თქვენგან არ მოველოდით, ბატონო აკაკი, — მითხრა ქალბატონმა ელენემ, — მიუდგომელი და უკომპრომისო იყავით ყოველთვის და ჩვენც ეს გავითვალისწინეთ.

— კონკრეტული ვითარების, თვით სიტუაციის არგუმენტაცია გვკარნახობს და მოდით, დავიცვათ ჩვენი პროფესიული და არა იურიდიული ინტერესები. ეს უკანასკნელი ძიებამ და სასამართლომ არკვიოს...

წელიწადზე მეტი დრო დასჭირდა ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე 200-მდე აბიტურიენტის წერითი ნამუშევრების გადამოწმებას, საბოლოო ნიშნების დასმას და დოკუმენტაციის გაფორმებას. 1975 წლის ივლისის დასაწყისში, ჟელეზნოვოდსკის სანატორიუმში საგზურით წასვლის დღეს, დილით მაცნობეს: სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილი რექტორის სასამართლო პროცესის დაწყების წინ საგნობრივი საექსპერტო კომისიების თავმჯდომარეები უნდა გამოცხადდნენ უმაღლესი სასამართლოს შენობაში 10 საათზეო. მე თბილისის აეროპორტიდან მინვოდში უნდა გავფრენილიყავი დღის ორ საათზე. შემპირდნენ, პირველად ჩემ სიტყვას მოისმენდნენ და ავტომანქანით აეროპორტამდე დროულად მიმიყვანდნენ. ჩემოდნით დანიშნულ დროზე უმაღლესი სასამართლოს სხდომათა დარბაზში ვიყავი. სასამართლო პროცესს სულავა უძღვებოდა. მის წინ მაგიდაზე რამდენიმე ტომი ელაგა. დაპირებისამებრ პირველი სიტყვა მე მომეცა.

წამოდგა უცებ მარჯვენა მხრიდან სახელმწიფო ბრალმდებელი და რაღაც ვრცელი სიტყვა გამოუვიდა, რომელშიაც ჩემი კომისიის მუშაობის გაბიაბრუებაც გამოსჭვიოდა. იმ კაცის არც გვარი ვიცოდი არც სახელი. მოსამართლეს მივმართე:

— გამაგებინეთ, რა კითხვას მისვამს ბრალმდებელია თუ პროკურორი.

— თქვენს სიტყვაში პასუხისგებაში მიცემული ყოფილი რექტორის რაღაც მხარდაჭერა ჩანსო. ორიანი ნაწერი ხუთზე რომ ფასდებოდა და ხუთიანი ორზე, ამის შესახებ რატომ არაფერს ამბობთო. — ამიხსნა მოსამართლემ ბრალმდებლის მოთხოვნის აზრი.

— სამედიცინო ინსტიტუტის ყოფილ რექტორს დღეს პირველად ვხედავ ბრალდებულის სკამზე და არასოდეს არავითარი კონტაქტი არ მქონია მასთან. მე თქვენ ინფორმაცია მოგაწოდეთ წერითი გამოცდების პრაქტიკაში არსებულ სიტუაციებსა და, აქედან გამომდინარე, წერითი ნაშრომების გასწორების სახელმწიფო ინსტრუქციის ერთ დეტალზე. რაც შეეხება ორიანისა და ხუთიანის ურთიერთშეფარდებაში დაშვებულ უხეშ დარღვევებს, ასეთი ბოროტების ფაქტი ქართული ენისა და ლიტერატურის ჩვენ მიერ შემოწმებულ წერით ნამუშევრებში არ შეგვხვედრია, ბრალმდებელმა კეთილი ინებოს და იმ მაპროფილებელი საგნების საექსპერტო კომისიის თავმჯდომარეებს მოთხოვოს პასუხი, სადაც ამას ადგილი ჰქონდა. — განვუმარტე მოსამართლეს...

...ჩვენი კომისიის ერთსულოვნობის წყალობით განახევრებული სასჯელის მოხდის შემდეგ გავიდა ხუთი წელი. უნივერსიტეტიდან გაძევებულმა ორივე მსჯავრდადებულმა, ცალ-ცალკე, სხვადასხვა დროს, ქართული ფილოლოგიის სამეცნიერო-მეთოდურ სექციას წარმოუდგინა თავიანთი ნაშრომები დამხმარე სახელმძღვანელოს გრიფის მისანიჭებლად. მათ პროტექტორებიც გამოუჩნდნენ. „საქართველოა, ხომ იცი". — წამდაუწუმ მახსენებდნენ საქართველოს სახელს და ძმა-ბიჭობის „თეორიის" ნიუანსებში ჩემს გათვითცნობიერებას ცდილობდნენ.

ა. ცანავას ნაშრომზე ფოლკლორის კათედრის გამგემ, ჩვენი სექციის წევრმა, პროფ. ზ. კიკნაძემ წერილობით გვაცნობა: „ა. ცანავას ნაშრომი „ქართული მითოლოგიის საკითხები" (გამოკვლევა და ტექსტები) არ პასუხობს იმ პროგრამას, რომლის მიხედვით თსუ ფილოლოგიის და ისტორიის ფაკულტეტებზე იკითხება „ქართული მითოლოგიის" კურსი... ამის გამო ნაშრომს ვერ მიეცემა სათანადო გრიფი. თსუ ფოლკლორის კათედრას მომზადებული აქვს შესატყვისი დამხმარე სახელმძღვანელო-ქრესტომათია, რომელიც უახლოეს ხანში გადაეცემა თსუ გამომცემლობას ჩვენი სექციიდან სათანადო გრიფის მიღების საფუძველზე. 5.XI.1986 წელი".

ასეთი დელიკატური მოტივით ორივეს უარი ეთქვა არა საერთოდ შრომის გამოცემაზე, არამედ გრიფზე, სტუდენტი ახალგაზრდობის აღსაზრდელად სავალდებულო დამხმარე სახელმძღვანელოდ დამტკიცებაზე.

და ორივე, მადლობის მაგიერ, ამ დროიდან, გათამამებულნი პრესის ფურცლებზე მონოპოლიური მდგომარეობის დაკავებით თავს მესხმოდა იმავე პრესის ფურცლებიდან გამოგონილი ბრალდებებით და აბსურდული პრეტენზიებით, ხოლო მათი „გულშემატკივრები" გულს იოხებდნენ, ახია მაგაზეო"...

დიახ, მართლაცდა, ახია ჩემზე. დასკვნა თვით მკითხველმა გამოიტანოს. ერთი რამე კი ცხადი უნდა იყოს ყველასათვის: ა. ცანავა გაბოროტებულია ჩვენ მიერ მაშინდელი ელემენტარული ზნეობრივი წეს-კანონების განუხრელად დაცვისა და გატარებისათვის. ეს კი, მიუხედავად მის მხრივ შეუწყვეტელი „მკვახე შეძახილებისა", ახლაც დიდ სულიერ კმაყოფილებას გვანიჭებს. მორალი ხომ ადამიანთა საზოგადოების მუდმივი მშვენება და კატალიზატორია!

**აკაკი თოფურია**

**რედაქციისაგან:** ჩვენი გაზეთის 1990 წლის 19 ოქტომბრის თარიღით გამოქვეყნებული საპასუხო წერილის („დავაზუსტოთ პოზიციები") დედანში დღევანდელი პუბლიკაციის ავტორს გაკვრით მინიშნებული ჰქონდა აქ აღწერილი ფაქტების შესახებ. იგი რედაქციის თხოვნით მან თვით ამოიღო იმ პირობით, თუ არ განმეორდებოდა ა. ცანავას მხრივ მის მიმართ ტექსტის განზრახ დამახინჯების და ცილისმწამებლური ინტერპრეტაციების შემთხვევები. სამწუხაროდ, ჩვენივე გაზეთის 1991 წლის 22 თებერვლის ნომერში ა. ცანავამ კვლავ გამოიყენა ადრე ნაცადი ხერხი არა მის მიერ 1990 წლის 11 ივლისის ნომერში აღძრულ თემაზე (ტ. გრანელი), არამედ [illegible] მოგონებათა წიგნზე — „იყო ასეთი სოფელი". იგი არც ამით დაკმაყოფილებულა. რედაქციას მოეპოვება ფარულად გავრცელებული ა. ცანავას რემინგტონზე გადაბეჭდილი მესამე პასკვილის ეგზემპლარი „მკვახე შეძახილის" სახელწოდებით. მიგვაჩნია, რომ მიმტევებლობას და სულგრძელობასაც თავისი საზღვარი აქვს.